



სოციალისტური



№ 17

სოციალისტური

№ 17

რედამცია და კანტორა

ტფილისი, პლენანოვის პროს. სასტუმრო „ნ ი ე“ ოთახი № 102.

ფ ა ს ი

5 კამ. მაჯალლო ოქროთი

რედამცია და კანტორა

ლიაა სოველ დღე გარდა კვირა უქმისა დილის 8 ს. შუაღ. 1 ს.-ღე.

საჭიროა გარკვეული გზა.

ს. დევდარიანი ერთ-ერთ თავის წერილში სწერდა, რომ საჭირო იყო ს.-დ. პარტიას მიერ მისდამი მიმდევარ შუშებისათვის სწორი, გარკვეული გზა. მიზეზი ს.-დ. პარტიის ავანტიურისა არის გაურკვეველი გზა, პერსპექტივის უქონლობა ბრძოლაში.

სამწუხაროდ, ამ გარკვეულ გზას ვერც ეხლა გვაჩვენებს ს. დევდარიანი.

მან, მართალია, დაანება თავი ს.-დ. პარტიას, რომლის ტაქტიკა, გზა დამლუპველია მუშათა კლასისთვის.

ის ეხლა, მართალია, ებრძვის ამ პარტიის ნაშთებს, რომლებიც ენერგიით განაგრძობენ მოლიპულ გზაზე სვლას.

მაგრამ ამავე დროს ს. დევდარიანმა თავი არ იცის რა ნიადაგზე სდგას ის, სად ჯგუფდება, რა ორგანიზაციაში, რა პოლიტიკურ მიმართულების ნიადაგზე მოუწოდებს თავის მიმდევრებს (თუ კი არიან ასეთები).

— მე მეორე ინტერნაციონალში არ შემიძლია ვიყო, მაგრამ არც მესამე ინტერნაციონალი მომწონს, შეიძლება შეიქმნეს ახალი ჯგუფი, ახალი ინტერნაციონალი, უფრო შესაფერო, სთქვა მან თავის მოხსენებაში მარტის 4-ს.

აქ იგივე უგზო-უკვლობა, იგივე გზის დაბნევა, ფეხის შეშლა...

სამი წლის წინეთ, 10 აპრილს 1921 წელს ს. დევდარიანმა გაუყუთა ს.-დ. პარტიის წევრებს მოხსენება ს.-დ. პარტიის ტაქტიკის შესახებ იმავე საოპერო თეატრში, სადაც ის გამოვიდა 4 მარტს.

მაშინ თავის მოხსენებაში მან მოუწოდა ს.-დ. პარტიის წევრებს ემუშავათ კომუნისტებთან ერთად კულტურულ და ეკონომიურ სფეროში.

როგორც ეხლა, მაშინაც ამბობდა ის, რომ ქართველი ერისთვის ეს იქნება უფრო მოქნილი პოლიტიკა, ვიდრე განზე დადგომა, გა-

რიყვა საბჭოთა აღმშენებლობის ფორტიდანო.

და თუ ამ 3 წლის განმავლობაში ს.-დემოკრატები მაინც ვერ შეიწყვენ კომუნისტებს, თუ ამ დროს განმავლობაში მოწოდება თანამშრომლობისკენ შეიცვალა ბრძოლით, ავანტიურით, ბანდიტიზმით, ამისი მიზეზი უნდა ვეძებოთ ჩვენ თვით 10 აპრილის რეზოლიუციაში, რომელსაც თვით ს. დევდარიანის წინადადებით მიება კული: დემოკრატიის გზით სოციალიზმისკენ.

ამ კულმა გადაყალბა უმთავრესი აზრი 10 აპრილის რეზოლიუციის. ეს კული დაუპირდაპირდა საბჭოთა სისტემას. და ამ ნიადაგზე დემოკრატისა და პროლეტარიატს შორის გაჩაღდა ბრძოლა.

იმ დემოკრატიაში, რომელიც სათაყვანო საგანი იყო მენშევიზმის, მოიყარა თავი ყველამ თავად აფხაზიდან დაწყებული ბანდიტ ჩოლოყაშვილამდე.

რასაკვირველია, ასეთი „დემოკრატია“ ვერ ითანამშრომლებდა პროლეტარიატთან, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია. და ს.-დ. პარტია შედგა ავანტიურის გზაზე.

ს. დევდარიანი თავის უკანასკნელ წერილებში თვით კიცხავს 10 აპრილის რეზოლიუციას, რომლის ავტორი თვითონ იყო.

4 მარტის და 10 აპრილის ს. დევდარიანის შორის დიდი განსხვავებაა.

მაგრამ ამავე დროს ამ ორ მომენტს შორის დიდი მსგავსებაც არის.

4 მარტს ს. დევდარიანი უკვე აღარაა იმ ს.-დ. პარტიის წევრი, რომელიც 10 აპრილის რეზოლიუციის ნიადაგზე დადგა ბანდიტიზმის გზაზე.

მაგრამ 4 მარტის ს. დევდარიანმა ეხლაც ვერ მისცა თავის სიტყვაში დასაყრდნობი წერტილი თავის მსმენელებს.

მან ვერ გახედა ვიქვამა ის, რაც სთქვა 17 ათასმა მუშამ, ს.-დ. პარტიის ყოფილმა წევრებმა და ახალგაზრდა მარქსისტებმა.

მას მოსწონს კომუნისტების ტაქტიკა, გზა. ამ ტაქტიკაში ის ეხლა ხედავს რევოლუციის გამართლებას.

მან დიდი ნაბიჯი გადადგა კომუნისტური პარტიისკენ.

მაგრამ თვით მაინც ეშლება და ვერ შესწევს იმდენი გამბედაობა, რომ პირდაპირ სთქვას ის, რაც სთქვა ს.-დ. პარტიის აქტივმა ამ ექვსი თვის წინეთ.

ნუ ეწყინება ს. დევდარიანს, თუ მისივე სიტყვებით მიემართავთ მას:

— რა უნდა ქნას იმ ხალხმა რომელიც, ვითქვით, თქვენ მოგყვება? მენშევიკური პარტია არ ვარგავ, ამბობთ, ის უნდა ძირიან-ფესვიანად დაინგრესო. რევოლუციის საკითხებში გაიმარჯვა კომუნისტურმა პარტიამო, მაგრამ მასთან მაინც ვერ მივალთო. არც მეორე ინტერნაციონალი, არც მესამე: ეხლა, ვითქვით, თქვენ მოგყვებათ ვინმე, რომელიც გაეჩხირა ამ ორ ინტერნაციონალს შორის, დაიბნა სამ ნაძვში და არ იცის სად წავიდეს? ეს დაბნეული, გზა დაკარგული ხალხი ან თავისი თავით უნდა გაეკრკვს ნაშვილ გზაში, ან ისევ ავანტიურის წუმპეში უნდა გადაიჩხვოს.

ჩვენ ვეძებოთ, რომ, როგორც 10 აპრილს შეეშალა ტაქტიკა, გზა მენშევიკურ პარტიას. ასე ეშლება ეხლაც გზა, ფეხი ს. დევდარიანს და მის ორიოდ მიმდევარს. მე ვამბობ, ორიოდ მიმდევარს, ვინაიდან იმ 17 ათასმა მუშამ, რომელმაც ლიკვიდაცია უყო ს.-დ. პარტიას, უკვე გამოიხატა პარტიის დატოვებისას თავისი გზა და მტკიცეთ დადგა მასზე.

ეხლა ორიოდ შენიშვნა მისი სიტყვის ზოგიერთ ადგილებზე.

თავისი უღობილი კრიტიკით ს. დევდარიანი ანგრევს მენშევიზმის უკანასკნელ ნაშთებს. მაგრამ მის აზრში ჯერ კიდევ ბევრია მენშევიზმის ნაშთები.

ს. დევდარიანი თავის სიტყვაში მუდამ ლაპარაკობს ერზე, ქართველ ერზე.

თუ ის მარქსისტია, მან უნდა ილაპარაკოს მუშათა კლასზე, მუშათა კლასის ინტერესებზე და არა ერზე, სადაც მუშაკ არის და რეაქციონერი ექს-თავადებიც. მარქსისტის მოვალეობას სრულიად არ შეადგენს ექს-თავადებისა და მემამულეთა ინტერესების დაცვა, მათსა და მუშებს შორის „სამოქალაქო ზავის“ ჩამოვლება.

— საქართველომ 3 წლის წამების შემდეგ უნდა გამოინახოს ახალი გზაო.

რომელ წამებაზეა ლაპარაკი? მშრომელმა საქართველომ ამ სამი წლის წინეთ უკვე გამოინახა თავისი გზა. ესაა რუსეთის რევოლუციის ორიენტაცია, დაკავშირება საბჭოთა სოც. რესპუბლიკების საერთო კავშირთან, მეგობრული კავშირი რუსეთის რევოლუციონერთა პროლეტარიატთან.

ეს გზა დღეს ს. ლევდარიანსაც მოსწონს. მაშ რომელ წამებაზეა ლაპარაკი?

ამ წამებას განიცდიან ყოფილი მემამულეები და თავადები, რომლებიც, რასაკვირველია, ვერ ურიგდებიან პროლეტარიატის დიქტატურას. ამ წამებას განიცდიან მენშევიკური პარტიის ნაწილები, რომლებიც ჩოლოყაშვილის ბანდებთან უფრო ახლო არიან, ვიდრე რუსეთის რევოლუციონერთან.

ამათი გზა კი არასოდეს არ იქნება რევოლუციონურ პროლეტარიატის გზა.

ს. დ. პარტია არასოდეს არ ყოფილა იმ აზრის, რომ ევროპის მმართველი წრეები დაიკავენ საქართველოს ინტერესებსო, ამბობდა ს. ლევდარიანი.

ტყუილია ეს. განა მთელი პოლიტიკა მენშევიკური პარტიის დემოკრატიული მთავრობის დროს არ იყო ევროპის მმართველი წრეების იმედებზე დამყარებული? განა მათი ჯარებიდან არ ელოდენ ხსნას?

მოიგონეთ ნ. ჟორდანიას სიტყვა:

— აღმოსავლეთის ფანატიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები გვიჩივიანო.

ს. ლევდარიანი ამბობს:

— მაშინ, როცა რუსეთში ინტერვენციის ქონდა აღდგომა, ჩვენში არაფერი ასეთი არ ყოფილაო.

აბა რა საჭირო იყო ინტერვენციის მოხდენა, როცა კარები უკვე ღია იყო დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებისთვის.

განა თავისუფლად არ თარეშობდენ ჩვენში ინგლისელები, ფრანგები და სხვა იმპერიალისტები თავიანთი ჯარებით?

ამაზე მეტი ინტერვენცია შეიძლება?

— ქართული კულტურა სდგას საფრთხის წინაშეო.

მაგრამ ამის თქმის ხომ უნდა დამტკიცება.

არასოდეს სასწავლებლები, სამკითხველოები, გამოცემანი ქართულ ენაზე არ ყოფილა იმდენი, რამდენიც დღეს არის. ერთხელ ეს ციფრებითაც დაუმტკიცეთ ჩვენ ს. ლევდარიანს, მაგრამ ის მაინც განაგრძობს ამის ლაპარაკს.

ქართველ მუშებს საქართველოში სდევნიანო.

ესეც მენშევიკური ჭორებია და მართალი უთხრა მას ს. ორჯონიკიძემ.

— აბა ერთი მაგალითი მაინც გვაჩვენე, რომ ვინმე დაეთხოვონ სამსახურიდან იმიტომ, რომ ის ქართველი არისო.

მაგალითს ს. ლევდარიანი ვერ მოიყვანს, ვინაიდან არაფერი ასეთი არაა სინამდვილეში.

მაგრამ მასთან თავმოყრილი უსაქმო ელემენტები კი კვებავენ მას ჭორებით.

და ეს ჭორები ჯერ კიდევ სჯერათ მას.

ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ ნაკიონალიზაცია ჩვენს დაწესებულებებში არასოდეს არ ტარდებოდა ასეთი სისასტიკით, როგორ დღეს. ეს არის ქართველი ელემენტების დევნა? ს. ლევდარიანს თავის სიტყვაში მოუვიდა კიდევ ერთი მარცხი.

— რადგან ევროპის სახელმწიფოებმა იცნეს რუსეთი, აწი კომინტერნის და კომუნისტური პარტიის გზა შეიცვლება ძირიანათ.

წინეთ ამბობდენ:

— რუსეთს არ იცნობს არავინ. სანამ აქ არიან ბალშევიკებიო.

ახლა ამბობენ:

— რუსეთი იცნეს, მაგრამ კომუნისტები ამით იძულებულნი არიან გამოიცივალნენო.

ეს არის ისეთი იმედი ანტი-საბჭოთა ელემენტების, როგორსაც ადგილი ჰქონდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებისას.

მაშინ ბევრი ფექტობდა, მათ შორის სოციალ-დემოკრატებიც, რომ „ნები“ მოსპობს კომუნისტურ პარტიას.

მაგრამ არაფერი ასეთი არაა.

ასეთი ფუტეა ამ პარტიის რევოლუციის გზიდან გადაცდენის იმედი საბჭოთა კავშირის ცნობის პირობებში.

ს. ლევდარიანი უსაყვედურებს ყოფ. მენშევიკებს.

— ისინი უფრო მეტი კომუნისტები არიან, ვიდრე თვით კომუნისტებიო.

კომუნისტების მეტ-ნაკლებობაზე ლაპარაკი რა საჭიროა, მაგრამ ის ყოფილი მენშევიკი, რომელმაც გამოსცადა მთელი სიყაბღე მენშევიკური პარტიის, რომ მტკიცეთ იქნება ახალ გზაზე, ეს აშკარაა ყველასთვის.

ს. ლევდარიანი ვილაცას უსაყვედურებს:

—ყოფილ მენშევიკისთვის არ უნდა იყოს საცდელდებული კომუნისტურ პარტიამო შესვლაო. ვინ უთხრა ს. ლევდარიანს, რომ ეს საცადლებულია?

პირიქით, კომუნისტური პარტია ვერ იტყვს, ვერ იღებს ყველა იმათ, რომლებმაც უკვე განაცხადეს ამ პარტიაში შესვლის სურვილი.

მაგრამ, თუ ყოფილი მენშევიკები ირაზმებიან, მწყრივდებიან კომინტერნის დროშის ქვეშ, ეს იმიტომ, რომ მათმა სალიკვიდაციო ყრილობამ მიიღო კომინტერნის გზა, პლატფორმა და აქეთვე მოუწოდა ყოფილ მენშევიკებს, რომლებმაც დაამგეს რაიმე ახალი ორგანიზაციის შექმნა.

ჩვენ არ დავგვიკლია კრიტიკა კომუნისტური პარტიისათვისაც, და ამ კრიტიკის საშვებლებით მიველით იმ მტკიცე დასკვნამდე, რომ რევოლუციის ინტერესები, მუშათა კლასის იდეალის სრული გამარჯვება საჭიროებს კომუნისტური პარტიისა, ამ პროლეტარული რევოლუციის ერთადერთ მებოიარბტრის გამაგრებას და ამიტომ მთელი ჩვენი ენერგია, ძალა, გამოცდილება მხოლოდ ამ პარტიის რიგებში უნდა იქნას გადატანილი.

ამ გადაწყვეტილებას მტკიცეთ ასრულებს 17 ათასი მუშა.

და ს. ლევდარიანიც უნდა მივიდეს ლოლიკურად ამ პოზიციასთან.

მსოფლიო რევოლუციის შესახებ.

1914 წელში გაისმა თოფ-ზარბაზნების გუგუნე.

ღელა მიწა ცეცხლის ალში გაეხვია. იმპერიალისტურმა სამყარომ გრანდიოზული აფეთქება მოაწყო, რომლის ალი მთელ დედამიწას გავს შემოერტყა და აფორიაქა.

გამხეტებელი, გაალმასებული დაერიენ ურთი ერთს იმპერიალისტური აკულები და თავის ინტერესების დაცვისათვის აამუშავეს იარაღი და მახვილი.

ამ უმაგალითო, განმანადგურებელ ორომ-ტრიალში ჩათრულ იქნა მშრომელი ხალხიც. ბურჟუაზიამ საკმაოდ მოხერხებულათ მოაწყო თავისი საქმე.

მან ბრძოლის ველზე მილიონი მშრომელი გადაისროლა და მტრის მახვილს მიაწყვინა, მაშინ, ამ-კომშარულ დღეებში, დღეებში, რომელსაც არ დაიფიწყებს კაცობრიობის ისტორია, დაამტკიცა მე-2-რე ინტერნაციონალმა თავისი სიკოტრე.

ნაცვლად იმისა, რომ მას ხმა აღემალღებია საშინელი სასაკალას გამართვის წინააღმდეგ, შეეჩერებია ის მუშათა ორგანიზაციების გამოყენებით და დახმარებით, მან ან უკეთ რომ ესთავა, მისი სექციები სხვა და სხვა ქვეყნებში, გვერდში ამოუდგნენ ბურჟუაზიას და მშრომელ ხალხს „ეროვნული“ ინტერესების დაცვისაკენ მოუწოდებდენ.

მე-2-რე ინტერნაციონალმა იმის ნაცვლად, რომ ერეკა ზარებე, მოეწყო გაფიცვები, ჩარეოდა აქტიურად და შეეჩერებია საშინელი სისხლის ღვრა, საარაკო სიბეჭე, უტიფრობა გამოიჩინა; ერთ ერთ მთავარ ხელის შემწყობ ძალად გამოვიდა, გამღვივებულათ და გამაძლიერებულათ მშრომელთა განმანადგურებელ საშინელ ომისა.

მთელ რიგ ქვეყნებში სოციალისტური პარტიები გაერთიანებული მე-2-რე ინტერნაციონალში ომის მომხრე გამოდგა და თვის მთავრობებს ამოუდგა გვერდში საშინელ კაციკუამიობისა და ნაციონალისტურ ხლართების ბანდვამო.

მაგრამ თუ მე-2-რე ინტერნაციონალმა უღალატა მუშათა კლასს და რამდენიმე დღის წინ მიღებული რეზოლუციის განხორციელებაზე უარი განაცხადა, ან და, უკეთ რომ ესთქვათ, ის უძლური შეიქნა წასულიყო საკუთარ ბუნების წინააღმდეგ, სამავიერთ არ ეძინა რევოლუციონურ მუშათა კლასს და მის ერთგულ ხელმძღვანელებს.

ძირს კაპიტალისტური წყობილება.

აი ის ლოზუნგი, რომელიც გადასროლილ იქნა რევოლუციონურ სულის მატარებელ პროლეტარათა რიგებში და რომელმაც საკმაოთ მძლავრი გამოძახილი პოვა. დემონსტრაციები ომის წინააღმდეგ, რომელიც გაიმართა მაგალითად ბერლინში და სხვაგან.

პირველი მტრცხალი იყო დამადასტურებელი იმისა, რომ მე-2-რე ინტერნაციონალის მიერ უსაშინელეს ავანტიურაში გადასროლილი მუშათა კლასი, უკვე სდგას გამოუხიზლების გზაზე და დღეს თუ არა ხვალ დადგებოდა ბურჟუაზიული სამყაროს განკითხვის დღე.

ი ს მ.

(„სიმართლის ხმა“)

1914—17 წლამდე გრძელდებოდა უსაშინესი ლესი ხოცვა ქვეყნად.

ავანტიურაში ჩათრეული მუშათა კლასი, მშრომელი ხალხი ფიზიკურად განადგურდა, მატერიალურად გაჩახვდა.

საშინელ ორომტრიალს თითქოს ბოლოც არ უჩანდა.

ახარტში შესული ბურჟუაზია, რაც დრო გადიოდა მეტი ვაფთრებით აწარმოებდა ბრძოლას, უსაზღვრო შოეინიზმის და ვიწრო ნაციონალურ ინტერესების ქაობში იღრჩობოდა.

სადა იყო ინტერნაციონალი? ან ვისთა ახსოვდა მარქსისა და ელგენის დიადი ცნება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“.

მიეწყებას მიეცა კაცობრიობის განმანათლებლური მოძრაობის დიადი პრინციპები.

და აი ამ დროს, ამ საერთო განხეცებისა და ხოცვა-ლეტის დროს, როგორც მეხი დარში, გავარდა მთელი კაპიტალისტურ სამყაროში, თავს დაატყდა მას

— დიდი ოქტომბრის რევოლუცია.

რუსეთის რევოლუციონერმა მუშათა კლასმა ყველაზე უწინ დაახწია თავი ნაციონალისტურ შოეინისტურ ატმოსფეროს. კაპიტალისტურ სამყაროში ვაისმა აჯანყებულ პროლეტარიატის მძლავრი ყვირნი.

— ომი ომს!

— გაუმარჯოს სამოქალაქო ომს!

— ძირს იმპერიალისტური ომი!

ჩამორჩენილ რუსეთის მებრძოლმა პროლეტარიატმა პირველმა აღიმიძღმა ხმა იმპერიალისტური ხოცვა ლეტის წინააღმდეგ და მოუწოდა მთელი ქვეყნის მშრომელთ ბრძოლისაკენ კლასიური მტრის წინააღმდეგ.

ურთიხევი მტერი დაეხვია გარს მაშინ აჯანყებულ ოქტომბერს.

ურთიხევი გენერლები, თავის ჯარებით ყვაყვორნებისებური ჩხვილით შემოეხვია გარს მებრძოლ პროლეტარების მოწინავე რაზმს.

— დასაკორტნათ.

მაგრამ რუსეთის პროლეტარიატი არ შედრკა.

— გამარჯვების პირველ დღესვე გადაუწოდა ძმური ხელი მთელი ქვეყნის პროლეტარიატს. მოუწოდა მას ძალთა გაერთიანებისაკენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

მე 2 ინტერნაციონალის ნანგრევებზე ჩაისახა ახალი ძლიერი ორგანიზაცია, შტაბი მებრძოლ პროლეტარების კავშირისა.

და მთელს მსოფლიოში, სადაც კი ვაისმა მძლავრი ყვირნი აჯანყებულ რუსეთის პროლეტარიატისა, სადაც კი მისწვდა ნიავეი მტერი-ლი შორეულ რუსეთიდან, პროლეტარიატის რაზმები გამოფხიზლების გზას შეუდგა, თავი მოიყარა და ნელნელა იწყო გამორკვევა მიძივე ბურჟუასგან.

კვლავ ვაისმა მარქსისტური „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“.

და აღსდგა კავშირი, რომელიც „სოციალისტურ“ პარტიათა, გაცემის მეოხებით დაკარგული იყო პროლეტარების შორის.

მთელი ქვეყნის მშრომელთა ხელები გადმოიშვირა რუსეთის აჯანყებულ პროლეტარიატის ყვირლის საპასუხოდ ძმური კავშირისათვის.

იყო სიჩუმე და გაქევაება, ქვეყანა გაუდა ცარიელ არეს... და მოუღონებს მზეს გაშავება და ცა ღრუბლებით ღამით დაძვარეს.

ველური ქარის მინდვრად ქროლაში იკაგრებოდა გულთა ძახილი. კორიანტელის ქიდილი—ბრძოლაში მთებმა გასცეს გამოძახილი.

მიწყნარდა ქარი... ცა ალავეჯარდა და ცისარტყელა გამოჩნდა მარსზე; ელვამ ახადა ცის ეტრადს ფარდა და დაინახეს სიკოცხელ მარსზე.

ეთერს ათრთოლებს ფენიქსის ფრენა და სოლეილ—ღორ მიწას აშუქებს. წყვიდადს ანათლებს შუჭურას ბრწყინვა და ბნელ გონებას ჰხდის ნილაბ—ლუქებს.

ჩავარდა ქარი... ცა ალავეჯარდა... არ დაიკარგა გულთა ძახილი. ელვამ ახადა ცის ეტრადს ფარდა... მოისმა მთების გამოძახილი.

გაროლდი.

გარს შემორტყმული შავი ძალებით კონტრრევოლუციის მიერ თითქმის კედელზე მიბჯენილი რუსეთის პროლეტარიატის ციტადელი წითელი მოსკოვი, რევოლუციონერ მსოფლიოს ცენტრი, ქმნის, აყალიბებს, საფუძვლებს უყრის მუშათა კლასის ახალ შტაბს, რევოლუციონერი ბრძოლის ხელმძღვანელ ორგანოს, კომუნისტური ინტერნაციონალს.

გაბედული კომუნარები ეკეთენ მსოფლიო იმპერიალიზმს.

ომი გამოუცხადეს მე 2-რე ინტერნაციონალს.

— საკუთარი პროლეტარული ინტერნაციონალი შექმნის

— მე III-მე კომუნისტური.

ეს იყო ხუთი წლის წინ — მოსკოვში შეიკრიბა პირველი კრება, მთელი ქვეყნის მებრძოლ პროლეტართა წარმომადგენელებისა

— მოსკოვში ჩაეყარა საფუძველი მის ძმურ კავშირს და აღდგენილ იქნა 1914 წლის ომის მიერ განადგურებული ძმობა და სოლიდარობა.

— მის სამრეკლოზე დაიწყო რეკა ვაპოფხიზლების ზარისა.

დაუნდობელი ბრძოლა კლასიურ მოწინააღმდეგესთან.

ძირს შემთანხმებლობა, ოფიციალური სოციალიზმი, დასწერა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა თავის დროშაზე.

— თავიდან ციკლით ყოველგვარ მერყობას, სიკრუეს და სიღამპლეს ოფიციალური სოციალისტური პარტიებისას.

ჩვენ კომუნისტები, შეერთებული მე 3-მე კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, თავს ვგრძნობთ ვითა გმირები და მიეპარათებით წიწ, იმ გზით, რომლითაც, ვიდრე ზაბუნდვან დაწყებული ვიდრე როზა ლუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტიმდე.

ასე აცხადებდა ხუთი წლის წინათ თავის პირველ მანიფესტში ახალი კომუნისტური ინტერნაციონალი

და მართლაც ის საეცებით გაიმოჯნა მთვან, ვინც მშრომელი ხალხი იმპერიალისტურ სასაკლაოზე მიიყვია, ვინც ბურჟუაზიის სასახლის კიბეებს ვერ გასცილებია.

მე 3-მე კომუნისტური ინტერნაციონალი 5 წლის არსებობის შემდეგ

ნამდვილი შტაბია, ხელმძღვანელი მთელი ქვეყნის შეერთებულ პროლეტარების.

მე 2-რე ინტერნაციონალის ნანგრევებზე აღმოცენდა ის

და შემოიკრიბა ირველი მებრძოლი პროლეტარიატი.

უდიდესი ისტორიული მისია მან შეასრულა ღირსეულად.

— პროლეტარები ყველა ქვეყნისა შეერთა კომინტერია ის გმირი ყრმა, რომელიც შეუპოვრად ეკეთება რადრო მოკმულ კაპიტალისტურ სამყაროს, ყირამალა დაყენებს მას...

და შექმნის ახალს თანასწორობისა და ძმობის სხივებით გამთბარ ღამაშ ქვეყანას.

დღეს ჩვენც მისი დროშის ქვეშ ვიბრძვით. ამ დროშის გარშემო შემოიკრიბება ჯერ კიდევ მრავალი და მრავალი გამოფხიზლებული პროლეტართა რაზმები,

კლდე.



8 გარსი—კალთა დღე

ძლევა-მოსილი ოქტომბერი მით არის დიადი, რომ მას ცხოვრების არც ერთი უნქული არ დაუტოვებია გაუნათებლად, გაუთმობლად.

მისი გრივალისებური გაქანება საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში შეიქრა, მიმამტყვრია, გააცამტყვრა და შემდეგ ჩაუყენა რა მშრომელი ხალხი საკუთარ საქმეს სათავეში, ახალი ცხოვრების აწმენებისათვის ახალი გზები, კალაპოტი დაუხსნა.

საუკუნოების განმავლობაში მონა-მორჩილი, მამაკაცის ფეხ ქვეშ გათელილი უფლებრივად დედაკაცი, მხოლოდ დიად ოქტომბერმა აშოატივტივა საზოგადოებრივი ცხოვრების ზედა პირზე და შესაფერისი ადგილი მიუჩინა მას.

ქალი!

რა შინაარსს იტევდა ეს სიტყვა ძველ ბურჟუაზიულ წყობილების ხანაში?

ის იყო ვასართობი საგანი; ღამაში, დროს გასატარებელი საშვალედა. აქ ის ნულს უდრიდა, ქალი ოჯახურ ურთიერთობაში—ყმა ქმრის, ერთგული მოსამსახურე, მონა.

— უბრალო მანქანა, რომელიც მხოლოდ თავისი მდებარებით ფუნქციების ასრულებითათვის იყო განჩენილი.

თითქმის უსულს საგანი, რომლის ყიღვაც შეიძლება და გაყიდვაც.

და ეს მაშინ, როდესაც ადამიანებით ვაჭრობა კარვა ხანია, რაც ისტორიის არქივს ჩაბარდა. ყოველ შემთხვევაში „განათლებულ“ ევროპაში.

ასეთი იყო ქალი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

მაგრამ კაპიტალისტური წყობილება თვით ზრდიდა და ამზადებდა თავის საშოში იმ ყრმას, რომელსაც შემდეგში დიდი ისტორიული ამოცანა დაეკისრებოდა.

ბურჟუაზიული წყობილება თავის განვითარებასა და ზრდის პროცესში, აყალიბებდა, ანეითარებდა მის მოწინააღმდეგე კლასს პროლეტარიატის სახით და მით ერთგულ მესაფლავეს უზბადებდა თავის მომავალს, და აი საკმარისი შეიქმნა მუშათა კლასის მოლონიერება იმ დონემდე, რომ მას შესძლებოდა გაოსვლა ბრძოლის ასპარეზზე, რომ ქალთა განთავისუფლების საქმეც დასმულიყო ღღის წესრიგში.

შეიკრა მჭიდრო კავშირი! დამონებული ქალმა იოლად გამოიხატა საერთო ენა კაპიტალისტურ ექსპლოატაციის მიმე უღლის ქვეშ მგმინავ პროლეტარიატთან.

დედაკაცმა პროლეტარიატის დახმარებით გაიკავა რა გზა ქარხნებისა და ფაბრიკებისაკენ, ჩავიდა რა მღაროების ბნელ ჯურღმულეებში და მანქანების სამყაროში, ამოუდგა მშრომელთ გვერდში და მასთან ერთად დაიწყო ბრძოლა მუშათა კლასის გამარჯვებისათვის, ვინაიდან მუშათა კლასის გამარჯვება იყო მისი გამარჯვება როგორც მშრომელის, როგორც ქალის.

და აი ჩვენც თუ გადავავლებთ თვალს პროლეტარიატის ტიტანიურ ბრძოლის ისტორიას, მის მიმე ტანჯვით აღვსილ გზას, იქ არა ერთს და ორ რევოლუციონერ თავდადებულ მებრძოლ ქალებს დავინახავთ.

ქალებს, რომელთაც პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მოწინავე პოზიციები ჰკავებიათ.

ქალებს, რომელნიც სათავეში ყოფილან რევოლუციონერ მოძრაობისა.

ვის არ გაუგონია, მაგალითად, სახელი—როზა ლიუქსენბურგი. ამ ბრძოლის ველზე დატეხულ დიდი ქალისა. გერმანიის რევოლუციონერ პროლეტარიატის ბელადისა, რომელმაც თავისი დიდი ნიჭი და ბუნება შეაღია მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეს.

მრავალია კიდევ ასეთი ქალები, რომელთა სახელები წითელი ასოებით იქნება აღბეჭდილი დაცემულ გმირთა სახელებ შორის.

მუშამ—მაშაკაცმა და მშრომელმა ქალმა მედგრად ჩასჰიდეს ხელი ურთი ერთს და ბრძოლის ველზე ერთად გამოვიდნენ.

კაპიტალისტურ სამყაროს ერთად შეებრძოლენ.

რადგან ამ წყობილების დანგრევასთან ერთად დინარევეა ის ზღუდებიც, რომელიც ბოჰაეს ქალს, არ აძლევს მას თავისუფალ არსებობის საშუალებას. ჩვენში, რუსეთში და საქართველოში, უკვე აღიგვა დედა-მეწის პირიდან ბურჟუაზიული წყობილება და მისი წესები. ჩვენში რევოლუციონერ პროლეტარიატი უღვას სათავეში სახელმწიფოს და ამ მშრომელთა რესპუბლიკებში მამაკაცთან ერთად დედაკაციც სდგას, დედაკაციც მართავს სახელმწიფოს.

მართალია, ვერ კიდევ შორს არის ის დრო, როცა დედაკაცი, როგორც მასიური მოვლენა, პოლიტიკურ ცხოვრებაში სავსებით ჩაეხმება, მაგრამ მუშაობა, რომელიც ამ მხრივ

სწარმოებს, ეს თავდება იმისი, რომ ეს დრო მოვა.

ძნელია, ერთის ხელის დაკვრით, ერთის მოქნივით დარღვევა, განადგურება იმ ტრადიციებისა, რომელიც შექმნილა და განმტკიცებულია ასეულ და ათასეულ წლებში განმავლობაში.

ქალი თავისთავად ძლიერ ჩამორჩენილია ცხოვრებას თუნდაც გონებრივი განვითარების სფეროში და ერთბაშად ამისი გადალახვა ძნელია, შეუძლებელია.

მაგრამ მშრომელთა ხელისუფლება ღებულობს ზომებს, რომ: „თვითელმა მხარეულმა ქალმა ისწავლოს სახელმწიფოს მართვა“.

გენიალური მასწავლებლის და ბლადის ლენინის მიერ გადმოსროლილი ეს ლოზუნგი და ეს უკვე საკმაო საბუთია იმის, რომ ქალთა მოძრაობას, ქალთა არა კოდექსუალურ არამედ ნამდვილ განთავისუფლების საქმე დაწყებულია ბოლოდღის და იქნება მიყვანილი. დიდი მასწავლებლის სიტყვების განხორციელებასთან ერთად აცობრიობა თავის არსებობის ახალ ეტაპში გადააბიჯებს ფეხს. ოქტომბერმა დაიწყო ქალთა განთავისუფლების საქმე, მან შემოაწყვიტა ქალს ბორჯი-ღებო.

მშრომელი მასა და თვით ქალები დაამთავრებენ თავის სრულ განთავისუფლების საქმეს.

8 მარტს ქალთა დღეს ჩვენ მივესალმებით მათ და უსურვებთ გამარჯვებას.

გ. ქოროშელი.



ახალი გზაზე.

ორიოდ დღეა, რაც გამოვედი... ვხვდები ძველ ამბანაგებს—მუშებს, ინტელიგენციას, ყოფილ და არა ყოფილ მენშევიკებს. შთაბეჭდილება ისეთი მაქვს, თითქო არ იციან, რა ქნან, რა იფიქრონ. აზრი დაყენებული იყო ერთ გზაზე და უჭირს გზის გამოკვლა. გზის სისწორე, რასაკვირველია, არ გაიზომება გამარჯვებით ან დამარცხებით. დამარცხება შესაძლებელია, მოსალოდნელია სწორ გზაზედაც. მაგრამ დამარცხებაზე უარესია ის, რასაც განიცდის დღეს საქართველოს სოციალ-დემოკრატია. მარქსისტს არ უნდა ეშინოდეს თავლის გახელის, თვითკრიტიკაში ის უნდა იყოს შეუბრალებელი.—მე თუ ვერაფერს ვხედავ, ვერც დამინახავს ვინმეო,—ეს არის უხეირო მალულობა. მებრძოლი მოაზრე, რომელიც პასუხისმგებელია არა მარტო თავის თავის წინაშე, ვერ შეჯდება ამისთანა მალულობის უნაგერზე.

დარჩენილ ცენტრალურ კომიტეტს ძალიან უჭირს ამის გაგება და „ჩვენს ერთობის“ მე-10 ნომერში „ამით აცხადებს“, რომ გამოქვეყნებული დოკუმენტები თავიდან „ბოლომდის შეთხზულია ჩეკაში“.

ეს არის, მე ვამბობ, მალულობა, ეს არ შეგვენის პოლიტიკური პარტიის ღირსებას. პარტიამ ან უნდა მიიღო შენ თავზე მთელი პასუხისმგებლობა, ან თუ კი არ გიკეთებია—რაც ამ დოკუმენტებშია ნაჩვენები,—უნდა თქვა, რომ ორი სამი უპასუხისმგებლო კაცის

ნამუშევარია აქ და შენ, როგორც პარტია, არაფერ შუაში ხარ, მაგრამ, როცა დოკუმენტებს ემალები, ეს იმას ვაგს, რომ მოწინააღმდეგეთან ბრძოლაში ჯობზე იჯდე და ცხენზე გვეგონოს შენი თავი.

სამწუხაროთ, პარტიის არალეგალური კონფერენცია თავის რეზოლიუციებში თითონ ამოწმებს, რასაც გვეუბნებიან გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი მასალები. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მაგალითად, კონფერენციის რეზოლიუცია ამბობს:—„სათანადო ნაბიჯები იქნეს გადადგმული ევროპის მმართველ წრეებში (ხაზი ჩემია) ქართველი ერის უფლებების დასაცავათ“.

როგორ „დაიცავს“ ევროპის მმართველი წრეები ქართველი ერის უფლებებს? რა თქმა უნდა, მხოლოდ ინტერვენციით, და... აქედან ლოლიკური დასკვნა—შეგნით, საქართველოში ნიადაგი უნდა მომზადდეს ამ ინტერვენციისთვის, მზადების გეგმაში კი, ცხადია, უნდა შევიდეს ანარქია, აჯანყება და სხვა. ამ ლოლიკას ვერ გაექცევი ოფიციალური განცხადებებით. ინტერვენციის და ანარქია-აჯანყების აზრია გატარებული ჩავარდნილ დოკუმენტებში. მე გამოვილაშქრე ამ აზრის წინააღმდეგ. მე ვთქვი, რომ საქართველო ევროპის მმართველი წრეების შემეყრე ვერ იქნება თავის უფლებების დაცვაში. [ხარულად] კონფერენციამ ამაზე მიპასუხა ცალკე რეზოლუციით:—„სეთ დედარიანის დებულებები ეწინააღმდეგება საქ. სოც. დემ. პარტიის პრინციპებს“. როდის ქონდა „საქ. სოც.-დემოკრატის ის პრინციპი“, რომ ევროპის მმართველი წრეების კალთაში შეეფარებინა თავი?.. ეს არის მხოლოდ იატაკ ქვეშ, არალეგალურ მუშაობაში შექმნილი „იდეური სიმდიდრე“. მე უარყავი ეს „სიმდიდრე“ თავიდან-ბოლომდის, და ის არალეგალური კონფერენცია, რომელიც ამის გულისთვის მე პარტიიდან გადაყენებულთა მიცხადებს, გადაყენებული იქნება საერთაშორისო სოციალიზმიდან, სოციალისტური ოჯახიდან.

არასოდეს არ ყოფილვარ იმის მომხრე, რომ ევროპის მმართველმა წრეებმა „განთავისუფლონ“ საქართველო. არასოდეს არ მწამდა ანტანტის დემოკრატიზმი. არ ყოფილა ისეთი წუთი ჩემ პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ პირველი მამლის ყოვილზე მე დამვიწყებოდეს მარქსისტული პრინციპი—მუშათა კლასის დიქტატურა—და საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ დამებრძობა ირებინოს ბურჟუაზიული დემოკრატიის სისტემა.

ამ მხრივ მე არ დამიგვიანებია რევოლუციონერი სიტყვის თქმა.

მართალია, იქნება, მხოლოდ ის, რომ ორი წლის წინეთ მაინც უნდა მეთქვა, რაც ახლა ვთქვი საქართველოს საკითხზე. მაგრამ ეს იქნებოდა წინდაწინ ვაცემა ჩვენი პარტიის. მეონდა რწმენა, რომ პარტია ბოლშევიზმთან ბრძოლაში არ ასცილდებოდა სოციალიზმის გზას, არ ემსახურებოდა ეროვნული განკერძოების (национальная исключительность) პრინციპს. ეს რწმენა მიჩუმებდა, ამიტომ მოხდა ჩემი დავგვიანება.

„ზარია ვოსტოკამ“ შენიშნა ჩემი დავგვიანებული „საბოლოო სიტყვის“ გამო, ახლო მომ-

ვალი გვიჩვენებს, როგორ გადააქცევს ამ თეოლოგიკონურ სიტყვას რევოლუციონურ საქმეთო. მე, რასაკვირველია, არ მოვალე ვიქნები, რომ არც ერთი სიტყვა ჩემი „საბოლოო სიტყვის“ საქმედ გადაუქცევდეს არც დაჩრჩხვნი. დავიწყებ იმით, რომ აქტიურ იდეურ ბრძოლას ვაწარმოებ საინტერვენციო, საავანტიურო პოლიტიკის წინააღმდეგ, იდეურ ომს გამოუცხადებ იმ პოლიტიკას, რომელიც ევროპის მმართველი წრებიდან ელის საქართველოს „ხსნას“. ამ ბრძოლაში, ამ ომში მე ვიქნები დაუღალავი, დაუთმობელი და უკან დაუხვეული.

რა უჭირს, თითონ შეუძლია ახლა სწეროს, რაც უნდა, მისი მოწინააღმდეგის აზრი კი არ იქნება გაგებულთო,—იტყვიან. მე ვეცდები, რაც შეიძლება ნაკლები იქნეს ამის თქმის საფუძველიც. მე ვიხივებ თითოეულ ჩემ მოწინააღმდეგეს, რომელი პარტიისაც უნდა იყოს, მიგზავნოს თავისი შენიშვნები, შეკითხვები, წერილები. ვიხივებ ყველა არალეგალური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს მიგზავნონ თავიანთი გამოცემები და ის, რის დაბეჭდვაც არ უხერხდება ტექნიკური პირობების გამო. მე მოვიყვან ხოლმე ჩემს წერილებში ყველა ამ მასალებს ან მთლიანად, ან საყურადღებო ადგილებს იქიდან. ავტორებმა თითონ შემოხაზონ ხოლმე, რაც თითონ მიიჩნიათ საყურადღებოთ. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ წერილები მანქანაზე იყოს გადაწერილი და, რასაკვირველია, ფსევდონიმებით ხელმოწერილი. მე არ შეეცვლი არსად არც ერთ სიტყვას, გავარჩევ არსებითად თითოეულ აზრს. ავტორ ხელში მაქვს ნ. ჟორდანიას უკანასკნელი წიგნაკი „ბრძოლის საკითხები“. მე ვადავში ქართველი საზოგადოების წინაშე თითოეულ ფურცელს ამ წიგნაკისას, გავარჩევ სტრიქონს სტრიქონზე, აზრს აზრზე. მე იმედი მაქვს, ამ გზით, ასე თუ ისე, მშრომელ ხალხს საშუალება მიეცემა გაერკვეს, რომელი აზრი, რომელი მიმართულება უფრო ხელსაყრელია საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის.

გოგორცა ფადავას ქალაქადგომის ვინაშე ინეგატს მძახის. რენეგატი მოლაღატს ნიშნავს. ის, ალბათ, დარწმუნებულია, რომ საქართველოსთვის მე კარგი არ მინდა რა. მე ამას ვერ ვიტყვი ვერავისზე. არ მეგულება ისეთი ქართველი, რომ განგებ უნდოდეს საქართველოს დაღუპვა. ყველას თავისი რწმენა აქვს და რაც უნდა ვიწრო კლასობრივ სარჩულზე ქონდეს ეს რწმენა აგებული, გონია, რომ საქართველოს ამის მეტი არა უშველის რა. ჩემ იდეურ ბრძოლაში მე არ წავალ ამიტომ წერილმანი ლანძღვა-გინების გზით, არ შეეცები არავის პიროვნებას. ჩემი მიზანი იქნება, რომ არაფერი არ, დარჩეს გამოურკვეველი საქართველოს საკითხში. ამ თვითგამორკვევით მშრომელ ხალხში ბოლო მოელება რყევას. გადასვლა-გადმოსვლას, თვალაუხელებ სიარულს, პოლიტიკურ მცირეწლოვანობას.

პოლიტიკური მცირეწლოვანობა იმის თქმა, რომ მე ამ ახალ გზაზე გვერდს ვუხვევ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს, და ამას ამბობს არალეგალური კონფერენციის რეზოლიუცია. ისე გამარტივებულათ აქვთ წარმოდგენილი არალეგალურ წრეებში საქართველოს დამოუკიდებლობა, თითქო ჯარის გაყვანის მეტი არაფერია საქირო ამ საკითხის გადასაქრელით. სამწუხაროა ეს, მაგრამ უნდა ვთქვა მაინც, რომ ჩვენმა პარტიამ სამი წლის განმავლობაში ვერ მისცა მშრომელ ხალხს ხელმისაღებელი ჩამოყალიბებული იდეოლოგია, აძლევდა მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ აზრებს, ლოზუნგებს. იდეურათ გაღარიბდა, გამოიფიტა იდეური ძალებით მდიდარი პარტია.

ეს არ მოხდებოდა, რომ პარტიას არ დაჰკარგოდა მარქსისტული მსოფლ-მხედველობა ეროვნულ საკითხში, და ეს არ დაეკარგებოდა, რომ შეერჩინა პროლეტარული ბუნება. რასაკვირველია, სადაო არ არის აქ ჩემთვის, რასაც სწერდა „კომუნისტი“ ჩემი წერილის გამო. ნამდვილი პროლეტარული პარტია არ დაიწყებდა საქართველოს ეროვნული უფლების ძებნას ევროპის მმართველ წრეებში. ნამდვილი პროლეტარული პარტია ვერ იფიქრებდა ვერასოდეს, რომ მსოფლიო ისტორიას მარტო საქართველოსთვის სცალია. მაგრამ მე ვერ დავეთანხმები „კომუნისტის“ წერილის ავტორს, რომ ძველი მენშევიზმი და უკანასკნელი დროის მენშევიკური პარტია საქართველოში ერთი და იგივეა. ის ავტორი თითონვე ამტკიცებს ამას ნ. ჟორდანიას ამონაწერებით. როცა ნ. ჟორდანიას სწერდა დემოკრატიის და სოციალ-დემოკრატიის შესახებ,—„არც ერთი პარტია არ არის მუშათა პარტიის ისეთი მტერი, როგორც დემოკრატია“...„სოციალ-დემოკრატიის მეტოქე და დაუქინებელი მტერი დემოკრატიული პარტიააო“,— ეს იყო წმინდა რევოლუციონური მარქსიზმი. როცა საქართველოს სოციალ-დემოკრატია ეკედღება ევროპის მმართველი წრეების „დემოკრატია“ ქართველი ერის უფლებების დასაცავად, ეს არის დაეიწყება რევოლუციონური მარქსიზმის. ნ. ჟორდანიას 1905 წლის იდეური მემკვიდრეობა ამ საკითხში მისაღებია როგორც ჩვენთვის, ისე „კომუნისტისთვის“.

სხვა საკითხია რატომ დაეკარგა ეს მემკვიდრეობა თითონ საქართველოს სოციალ დემოკრატიულ პარტიას. ამას მე შეეხები სხვა წერილში და იქ ვეცდები გამოვარკვიო რამდენათ სწორია „კომუნისტის“ ახსნა.*)

ახლა დაუბრუნდები ჩემ მთავარ დებულებას. მე ვამბობდი, რომ საქართველომ თავისი ბედობა უნდა დაუკავშიროს საბჭოთა სისტემას, საბჭოთა რესპუბლიკის კავშირს და არა ევროპის მმართველ წრეებს. ჩემი სოც. დემ. პარტიის არალეგალური კონფერენცია ამბობს, რომ მე გვერდს ვუხვევ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს.

მე მოვიხივებ ჩემი მოწინააღმდეგეებისაგან თითონ ნუ აუხვევენ გვერდს საკითხის მკაფიოდ დაყენებას, ნუ დასჯერდებიან ზოგად ფრაზებს. მე ჩემს წერილებში საკითხი დავყენე—**რიმელი გზით უფრო უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოთ საქართველოს დამოუკიდებლობა—ინტერვენციით. ანარქიით, აჯანყებით თუ საბჭოთა სისტემით, რა ურჩევნია მუშას და გლეხს—იღაცს—მუდამ თოფით ხელში: ელოდეს ყოველი კუთხიდან ომებს, თავდახსმებს, თუ აკეთოს ის, რის გაკეთებაც შეიძლება საქართველოსთვის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში.**

*) იხ. „კომუნისტი“ № 38.

სადაჩაჯრდან

გაეცოდები ღამის ნაპირებს კვილით, კენესით—მტრევე ვებნით, ეხლა სხვანაირ ამბავს ვაპირებო. მე ეს ქალაქი და ტრამეები.

ო, დღეს ცრემლები ვერ ვასაღებდა და ველარც ენა ძველი ძონძებით. კმარა ცხოვრება,—თავის აგდება ბედნიერებას თვითონ მოეძებნოთ.

სულ ზედმეტია თავყვანი ღმერთის, თითონ ღმერთი ვართ და სასწაულთ და აფეთქება ბებერი ბედის, მზიან ქვეყანას წითლდ გაუელის.

უკვე დაგვინებდა მზე, პლანეტები, ელექტრონები და მიწა მდღალი: დღეს საშინელი ცეცხლით ენთებით, რომ უფრო მაღლა ავიარდეს ალი.

უნქოს, უძველოს და ღამის ღაჩრებს, ჩვენ სასიკვდილოთ დავადებო ზიანს, შორჩა, ქვეყანა მათ ველარ ათრევის, და ვეძებთ დილას წითელს და მზიანს.

დღეს სხვანაირათ რეკენ ზარები, ვესერი ქვეყანას ალისფერ ბურთებს. არ გვემინია, არც გვეხარება, და წითელ დროშას—ღამეებს უთევო.

გარდენ როდიჩელი.

არალეგალურ „ჩემი ერთობის“ ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილი იყო კაუტსკის წერილი. მისი აზრი არ ეთანხმება, ვერ უდგება საქ. სოც.-დემ. პარტიის ტაქტიკას. ეს ტაქტიკა გამოჭრილია სადღესო იმედებზე.

სოციალ-დემოკრატიული პარტია ქართველ ერს აიმედებს,—აი დღეს, აი ხვალთ. ახლა ღაჩარაკობენ—ინგლისს საქართველო გამოუყვია და ისე უცენია რუსეთით, ავტო ინგლის-რუსეთის კონფერენცია რომ იქნება, საქართველოს საკითხი უთუოდ გადაჭრებაო. ამისთანა იმედების ბურუსში კაცს ეკარგება აზროვნება, აზროვნების უნარი. ის ვეღარ იმასწორებს, რომ ინგლისს თუ საქართველოს გამოყოფა უნდოდა, წინასწარ პირობად დაუყენებდა რუსეთს,—ჯერ საქართველოსთვის დანებებშია თავი. ჯერ ცნობა მთელი საბჭოთა კავშირის და მერე ის პირობა, რომ რუსეთში საქართველოს თავი დაანეროს—ეს არ ეკარება არც ბავშურ კუკუსას. ვსთქვათ ახლო მომავალ კონფერენციაზე ინგლისმა უთხრა რუსეთს, ხელი გაუშვი საქართველოსო, რუსეთი უარს ეტყვის ამაზე, რას იზამს მაშინ ინგლისა, უკან წაიღებს რუსეთის ცნობას, წაეჩხუბება რუსეთს, ომს გამოუცხადებს? არაფერს არ იზამს ამისთანას, რუსეთის ცნობა ინგლისს პირველ რიგში სჭირდება თავისთვის, თავისი შინაური ანგარიშების გასასწორებლათ. ეს სჭირდება ინგლისს თავის სავარგო პოლიტიკისთვისაც. რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა გამოადგება აღმოსავლეთის საკითხებში, გამოადგება საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელთანაც დღითი დღე უღრმავდება უთანხმოება.

ინგლისს ან უნდა გამოეყო საქართველო, მთელი ამიერ-კავკასია, აქ გაცეცხობია თავისი

თვის კარები აღმოსავლეთისაკენ და შეიარაღებული ძალები მოეყვანა რუსეთის წინააღმდეგ, ან უნდა ეცოა რუსეთი და საქართველო რუსეთის კავშირში, მთელ ამ კავშირთან შეთანხმებით შედგომოდა თავის საქმეების მოწვევების აღმოსავლეთში. ინგლისმა მუშათა მოაზრობის ხელმძღვანელობით აირჩია მეორე გზა და არ შეეძლო მოქცეულიყო სხვაგვარად. მაკდონალდი ახლა არა თუ დაეხმარება საქართველოში აჯანყებას, თანაგრძობასაც ვერ გამოვგივზავნებს კიდევაც რომ მოხდეს ასეთი ავანტიურა.

ნ. ხომერკის დაწერა თეზისები „ისლამი და რუსეთი“. გაციანო იქ, სადაც დამწყვედი ვიყავი. ამ თეზისებში არაფერი არ არის მარქსისტული, სოციალისტური. მაგრამ ერთ ალავს ნათქვამია:—საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში ხდება ავით თუ კარგათ ეროვნული ჩამოყალიბებო. მარტო ეს ერთი სტრიქონია მისაღები მთელს თეზისებში. ეს სტრიქონი არ ეწინააღმდეგება, პირიქით ეგუება, უთავსდება იმ ტაქტიკას, იმ ახალ გზას, რომელზედაც მე მოუწოდებ საქართველოს მშრომელ ხალხს ჩვენ უნდა ვიმუშავოთ ისე, რომ ხელი კი არ შევეშალოთ, არამედ ხელი შევეწყუთ ამ ეროვნულ ჩამოყალიბებას, რომელიც „ავით თუ კარგათ ხდება საბჭოთა კავშირის ფარგლებში“.

დანარჩენი, რაც არის იმ თეზისებში,—ეგროპის სახელმწიფოების გამოლაშქრება მოსკოვზე, ოსმალეთისდახმარებით შეიარაღებული მოღვამე საქართველოს საზღვრებზე, —ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მილიონ ნახევარი ერის ფიზიკურათ განადგურებას და არა ეროვნულ ჩამოყალიბებას.

ამაზე შესაუბროს და მკვამათოს, ვისაც უნდა წერილებში, მოხსენებებზე, ლექციებზე. მე ვიქნები პასუხისმგებელი, რომ პირადად გამოსვლისთვის არავის არაფერი დაუშავდეს. მაგრამ, ვიცი ამ პასუხისმგებლობას არავინ დასჯერდება და შიში მაინც ექნებათ. ამიტომ სჯობია, თუ წერილობით გადმომეცემენ, გადმომიგზავნიან ხოლმე თავის აზრებს, ამას, როგორც ზემოთ ვთქვი მოვიყვან ხოლმე წერილებში და მოხსენებებზედაც.

ამ გზით მე დავიცავ იდეური ბრძოლის თანსწარობას, რომ საქართველოს საკითხში დღის სინათლეზე იქნეს გამოტანილი ყოველნაირი მიმართულება, თითოეული მიხერა-მოხერა ანა თუ იმ მსოფლმხედველობის.

მკითხველი, მსმენელი მიხვდება, სად არის სიმართლე სად არა, თავმოყვარეობას არ ამოვეფარები და თითონ დაუკარვ ტაშს, ვინც დამამარცხებს. თავმოყვარეობის გულისათვის მე არ დაუშვებ გათიშვას იმ წრეებში, რომლებშიც ვაუმოგზენ საქ. სოც. დემოკრატიულ პარტიას, ნიადავს არ შევქმნი გათიშვისთვის საქართველოს მშრომელ ხალხში—ჩემი ცდა იქნება, ხელი აეღოს პოლიტიკურ ბრძოლას, რომელიც გადაიქცა ავანტიურათ და მთელი ჩვენი გაერთიანებული ძალა მიტანილი იქნეს კულტურულ-ეკონომიური აღმშენებლობის ფრონტზე. სამი წლის განმავლობაში ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით ამ ფრონტს, ამ ცოცხალ სექსს.

ვერც ერთი ძალაუფლება ვერ დაუშვებს აღმშენებლობის საქმეში თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, რომელიც იბრძვის მისი ჩამოგდებისთვის. საქართველოს სოციალ-დემოკრატია ამ ბრძოლაში მეთაურობდა ქართველობას, როგორც ეროვნულ ერთეულს. ბრძოლას არ ჰქონდა კლასობრივი სარჩული. ქართველობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იმიჯნებოდა სხვა ერებისაგან. ჩვენი ტაქტიკა ეროვნული ბრძოლის ეწინააღმდეგებოდა ერის ინტერესებს.

ჩემ ახალ გზაზე ერთი ხაზი მიდის იქით, რომ გათავდეს ჯიუტობის ტაქტიკა, ავანტიურისტული ბრძოლა, რომ მიღებული და ცნობილი იქნეს საბჭოთა სისტემა, მეორე ხაზი მიდის იქით, რომ მივიღო ქართველობა, მილიანათ ჩაბმული იქნეს კულტურულ-ეკონომიური აღმშენებლობაში.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვერაფერს ვხედავ ან არაფრის დანახვა არ მინდა საქართველოს საკითხის გარეშე. ეს საკითხი არ არის ჩემთვის თვით მიზანი, როგორც გონია ერთი წერილის ავტორს ვახ. „მუშაში“. მაგრამ მე ვერ დავკეთანხმები ამ ავტორს, რომ საქართველოს საკითხი მარტო საშუალებაა და სხვა არაფერი. რისი საშუალება, რა უნდოდა ეთქვა ამითი „მუშის“ წერილის ავტორს?

მარქსიზმი ასე არ ამარტივებს ეროვნულ საკითხს. მარქსი არ იტყოდა, რომ ერი საშუალებაა, არ იტყოდა, რომ ერი უნდა შეეწიროს მსოფლიო რევოლუციას. მარქსის აზრი იყო, —ჩვენ ხელს უნდა ეუწყობდეთ ეროვნულ მოძრაობას, თუ ის სარჩულათ არ იღებს საერთაშორისო რაქტიკას, და წინააღმდეგი უნდა ვყოთ ამ მოძრაობის. თუ ის აფერხებს საერთაშორისო რევოლუციას.

მარქსი დღეს არ დაუტყრდა მხარს საქართველოს „ეროვნულ“ ბრძოლას, რომელიც ეგროპის მმართველ წრეებში ეძებს მფარველობას, მაგრამ მარქსი არ იტყოდა, რომ მსოფლიო რევოლუციამ საქართველო უნდა გაიხადოს საშუალებათ და გადაიაროს იმის გულმკერდზე. არა, საქართველო იბრძოლებს მსოფლიო რევოლუციისათვის პროლეტარული დიქტატურის დროში და აყვავდება ეროვნულადაც. ეს არის მარქსიზმი.

მარქსი სწერდა ერთ ალავას:—„ხალხი, რომელსაც არასოდეს არ ჰქონებია თავისი საკუთარი ისტორია, რომელიც თავისი განვითარების პირველ საფეხურზევე სხვის მორჩილებაში ჩაეარდნოდა, ან სხვისი ბატონობის ქვეშ დაქვეითებულა, —ამისთანა ხალხს სასიცოცხლო უნარი არ აქვს და ვერასოდეს ვერ ეღიარება ის დამოუკიდებლობისა.“*)

საქართველოზე ვერ იტყოდა ამას მარქსი საქართველოს აქვს მდიდარი ისტორია, უძველესი კულტურა და არავითარი ძალთა შეჯახებას ის არ დაუქვეითებია განვითარების პირველ საფეხურამდის. ბევრჯერ და ხანგრძლივთ ჩაუტყვევია ისტორიას დასაცხრომი პერანგი (смирительная рубашка) საქართველოსთვის. მისი სხეული ითენთებოდა ამ პერანგის თასმებში, ცოცხალი ეროვნული სული კი გა-

დალიოდა საუკუნიდან საუკუნეში,—მე არ მოკვდები, სულს რა მოკვავსო, —უტუნებოდა ის ისტორიას.

ეს ცოცხალი სული შეინახება, შეინახავს თავის შემოქმედებით ძალეს, გაივლის ამ გარდამავალ ხანას და მიეგებება მსოფლიო რევოლუციას, თუ საქართველო არ მიეკვლება და საშუალებათ არ გაუხდება ეგროპის მმართველ წრეებს, თუ ის, პირიქით, მზათ იქნება შეგებდოლოს ამ მმართველ წრეებს, როგორც სრულუფლებიანი წევრი საბჭოთა კავშირისა.

ს. დეგლარიანი.



რუსეთის მრავალუბა

წინა წერილში ჩვენ განვიხილეთ, თუ რა ზომები იყო მიღებული სახელმწიფოს მიერ მრეწველობის აღსადგენათ.

ეხლა ვნახათ თუ რა ნაყოფი მოიტანა ყველა ამ ზომებმა.

მაგარ მინერალურ სათბობის ამოღება წინა წელთან შედარებით იყო ასეთი:

№ რიგში	1921—22 წ. აბს. ციფრები (ათ. ფ.)	1922—23 წ. აბს. ციფრები (ათ. ფ.)	1921—22 წ. % / 0	1922—23 წ. შედარებით.
1	438,959	493,832	112,5	
2	38,057	47,592	125,0	
3	62,534	70,550	112,8	
4	82,283	83,778	101,8	
5	621,898	695,752	111,8	
6	—	12,026	—	12,026
7	—	4,990	—	4,990
სულ	—	712,768	—	712,768

ამნაირად, საანგარიშო წლის განმავლობაში მაგარი მინერალური სათბობი მოწეულია 11,8 პროც. მეტი, ვიდრე წინა წელს. გარდა ამისა საანგარიშო წელს შესრულებულია 88,8 პროც. საწარმოო პროგრამისა, რაც დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს.

ამოღებულ მაგარ მინერალიდან თვითონ წარმოები წინადა ხარჯადენ 27 პროც., საანგარიშო წელს, მეურნეობის გაუმჯობესების გამო, დაუხარჯავთ მხოლოდ 24 პროც. ამიტომ წმინდა ქვა-ნახშირი დარჩა 549.636 ათფუთი, რაც შეადგენს 18 პროც.-თ მეტს, ვიდრე წინა წელს.

ნავთი ამოღებულია საანგარიშო წლის განმავლობაში 217,9 მილ. ფუთი, ე. ი. 19 პროც.-თ მეტი, ვიდრე წინა წელს.

დანარჩენ ადვილებში (გროზნაში და სხვა) ამოღებულია ნავთი საანგარიშო წლის განმავ-

*) Archiv ber Socialwissenschaft unq statistik, 1910 წ. ნომბერი“. წერილიდან „Marx und Bakunin“.

ს ი მ ლ ე რ ა

ვ უ მ დ ე ნ ი წ ი თ ე ლ ლ ა შ კ ა რ ს

ვარდისფერ ღრუბლით შეფერილს ცაზე ცეცხლის ალღებრივს ვუცქერი მთვარეს, ყველაზედ უხვად ის სხივებს სტყორცნის მთის მწვერვალებით სამშობლო მხარეს. აქ მისს კალთებზე შრომის შეილები წითელი დროშის ქვეშ ირახმებიან, მათი სიმღერა, ტკბილი ჰიმნები გულს ნექტარივით ეუკუბებიან. ალესდგეთ, მუშებო, გაბედულადა, ალესდგეთ ძმურად და დარაზმულადა, თავგანწირულად ალესდგეთ მტერზედა. დავსცეთ იგი ძირს, ძირს, ძირს... დროა შევიგნოთ არ წამოვეგოთ მდიდართა ხროვის ნაგებ ანკესზე. განვთავისუფლდეთ მათი უღლიდან, ნულარ გვაწვება აწუ ის კისერზე. საუკუნებით გამოჩედილი მტარვალი შეუის ტახტი დავამხვიეთ, ნამუს ახილი კაპიტალიზმი, მკვდარი ლითონი ნუ თუ ვერ დავსცეთ? ალესდგეთ, მუშებო გაბედულადა... ცივ სამარეში ჩვენ ჩავსვენოთ სისხლის მწოველი კაპიტალიზმი, სამაგიეროდ გავსჭედოთ ქვეყნის ამყვავებელი სოციალიზმი.

სადაც ადგილი აქვს ექნება ადამიანის ჩაგვრა-წყალებას, სად უკდავების გაუქმდება ტახტი-მშობას და შრომის უფლებას. ალესდგეთ, მუშებო, გაბედულადა... შიმთეიაროთ მთელი ქვეყანა, კომუნისმისა დავანთოთ ცეცხლი, შიგ ამოვებუვით კაპიტალიზმი, რომ აღარ დარჩეს იმისგან ფერფლი. მტკიცედ დავიცვათ წითელი დროშა, უთვალავ ცეცხლში ვანატარებო, მით შევასრულოთ—დიდი ანდერძი. კარლ მარქს—ლენინის დანაბარები. ალესდგეთ, მუშებო, გაბედულადა... წითელი დროშის ამაყად მტერი მიდის წინ მდგვრად წითელი ჯარი და მისს ძლიერ ხმას შორით ხმას აძლევს მთელი მსოფლიოს მშრომელთ ლაშქარი. და ეს ხმა, ვებდავ, თან ძლიერდება, კვსავს და ცეცხლად რომ გაჩაღდება, სულ შემხუთავი კაპიტალიზმი ძირ-ბუღიანად ამოვარდება. ალესდგეთ, მუშებო, გაბედულადა, ალესდგეთ ძმურად და დარაზმულადა, თავგანწირულად ალესდგეთ მტერზედა, და დავსცეთ იგი ძირს, ძირს, ძირს...

მ. ჯიბლაძე

ვლობაში 421,8 მილ. ფუთი, ე. ი. 13 პრ.-თ მეტი, ვიდრე წინა წელს.

ტორფი ამოღებულია საანგარიშო წელს 128,1 მილ. ფუთი, ე. ი. წინა წელთან შედარებით 20 მილ. ფუთით მეტი. ამოღებულია: 1922—23 წ. 1921—22 წ. რკინის მადნ. 26.078.088 ფ. 10.895.476 ფ. მარგან. " 4.360.622 " 1.849.222 "

კეთილ-შობილი ლითონი

ოქრო	19.731.84 გირ.	11.145 მ.
პლატინა . . .	2.862,50 "	1,697 მ.
ვერცხლი . . .	593,00 "	—

სხვადასხვა ლითონი:

თუჯი:		
18.321.000 ფ.	10.475.000 ფ.	
მარტენი:		
35.991.000 ფ.	19.398.000 ფ.	
მატარებელთა (проката):		
27.886.000 ფ.	15.830.000 ფ.	
ახალი ორთქლმავლების გაკეთ.		
101	115	

საქსავ წარმოებაში მდგომარეობა ასეთია:

ბამბეულობა:		
1922—23 წ.	1921—22 წ.	
ნართავი:		
74.394.239 კილ.	50.859.226 კილ.	
მდარე ძაფეულობა:		
621.294.021 მეტრ.	355.888.345 მეტრ.	
დამზად. საქონელი:		
581.427.974 მეტრ.	302.481.222 მეტრ.	
ძაფი:		
327.867 კილ.	168.976 კილ.	

ბამბეულობა.

ნართავი:		
14.563,6 ათ. კილ.	10.406 ათ. კ.	
მდარე ძაფეულობა:		
28.988,5 ათ. მეტრ.	17.236,8 ათ. კ.	
დამზადებული საქონ.		
21.871,3 ათ. მეტრ.	22.933,7 ათ. კ.	

ს ე ლ ი .

ნართავი:		
29.220 კილოგრ.	16.000 კილ	
ნაქსოვი:		
78.050,55 კვ. მეტრ.	33.554,12 კვმ.	
რეზინის მრეწველობა:		
გალოშები:		
9,970,799 წყვ.	4,152,423 წყვ.	
შინები და კამერები:		
491,531 ცალი.	421,255 ცალი.	
ქალადი დამზადებულა:		
4,070,737 ფუთი.	2,118,103 ფ.	
წუმწუმა დამზადებულა:		
1,523,528 ფუთი,	898,813 ე.	
ფხვნილი შაქარი დამზადებულა:		
12,225,955 ფ.	3,063,817 ფ.	
რაფინიდი დამზადებულა:		
3,072,750 ფ.	490,829 ფ.	

ამ ცნობებიდან აშკარად სჩანს, თუ რამდენად გაზრდილა რუსეთის წარმოება საანგარიშო წელს.

ეს ცნობები სრული დამამტკიცებელია იმისა, რომ აზხ. ბოვდანოვის წინასწარმეტყვე-

ლება რუსეთის მრეწველობის მოკლე ხანში სრული აღდგენის შესახებ, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ ჰირველ წერილში, სავსებით დამყარებულია ჩვენი მრეწველობის ობიექტიურ პირობებზე.

ა. რუხაძე.



კომუნისტური ინტერნაციონალი.

5 წელი შესრულდა მის შემდეგ, რაც მეორე ინტერნაციონალის ნანგრევებზე აღმოცენდა ახალი ძლიერი მებრძოლი, რევოლუციონური მუშათა კლასის ხელმძღვანელი ორგანიზაცია—მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი. 5 წელი კომუნისტური ინტერნაციონალის არსებობისა სავსეა მდიდარი და ღირ-მნიშვნელოვანი შენაარსით.

5 წელია, რაც არსებობს საერთაშორისო რევოლუციის მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც ხელმძღვანელობს ერთის მხრივ რუსეთის გრანდიოზულ რევოლუციას და მეორეს მხრივ ყველა ქვეყნებში აწყობს რევოლუციონურ მუშათა კლასის ორგანიზაციებს, რათა ძირ მოშაღო კაპიტალზე შეტევის დროს—მტერი სამუდამოთ დამარცხებულ იქნას 5 წელი გადის მის შემდეგ, რაც კომუნისტური ინტერნაციონალი მოუხმობს ყველა ქვეყნის ჩაგრულებს და აწყობს მტკიცე რაზმებს ახალი ქვეყნის—შრომის სუფევის დასამყარებლად.

იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპის მუშათა მასები ბრმად—მიყვებოდა მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელებს ბურჟუაზია-

სთან თანამშრომლობის გზაზე—რუსეთის პროლეტარულმა პარტიამ ხელთ აიღო ხელმძღვანელობა საერთაშორისო მუშათა კლასის რევოლუციონურ ბრძოლის და აჯანყების დროსა ააფრიალა კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის დასამხობათ.

მეორე ინტერნაციონალი, რომელიც ფაქტურად დამარცხდა 4 აგვისტოს 1919 წელს, როცა გერმანიისა და საფრანგეთის სოც.-დემოკრატიებმა ხმა მისცეს სამხედრო კრედიტებს და გვერდში აშოუდგენ თავიანთ მთავრობებს, მართალია ჯერაც არსებობს და ფორმალურად თავი მოაქვს მუშათა კლასის ხელმძღვანელ ორგანიზაციად, მაგრამ ნამდვილათ იქცა ბურჟუაზიის დამხმარე ძალად და ამდენად რამდენად მალე მოეღება ბოლო მის არსებობას იმდენად უფრო ხელი შეეწყობა საერთაშორის რევოლუციის გამარჯობა იმ პირველ რევოლუციონურ სოციალიზმიდან, რომელიც შექმნა მარქსმა და ენგელსმა. მეორე ინტერნაციონალს შერჩა მხოლოდ ცარიელი სახელწოდება, საერთაშორისო მუშათა კლასის კავშირის—სინამდვილეში კი შიგ მოკალათდა სრულიად საწინააღმდეგო იდეები—რევოლუციონისა და სოციალ პატრიოტიზმის.

მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელებმა მსოფლიო ომის ქარცეცხლში დაივიწყეს და ფეხქვეშ გათოლეს ყველა ის რევოლუციონური პრინციპები, რომელიც მოითხოვდა ბრძოლას თვით ომის წინააღმდეგ და მისი დამწყობი კაპიტალისტური სისტემის დამხობა.

ევროპის მუშათა კლასი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მეორე ინტერნაციონალის მამები—ამ უკანასკნელთა დარღვევით შეესია ერთი მეორეს. პატრიოტული აღტყინებამა

დაიხრდილა და ფეხქვეშ გაითელა მუშათა კლასის რევოლუციონური პრინციპები.

მეორე ინტერნაციონალის ბედი ისტორიულ ქარტიხილში სამუდამოდ გადაწყდა დღეს ის არ წარმოადგენს ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც ოდნავი მნიშვნელობაც მაინც ქონდეს მუშათა კლასის რევოლუციონურ მოძრაობაში. მკირედი ნაწილი ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტიებიდან გადაიარა იდეურ გახარწას,—ეს იყო ბოლშევიკური ფრთა, რომელიც იმ თავითვე მოთხოვდა ახალ ინტერნაციონალს—ყოველგვარ ოპორტუნიზმიდან განწმენდილს. მე-III ინტერნ. ამოცანა ამხ. ლენინმა ჯერ კიდევ 1914 წ. გახაზა და სთქვა: „მე-III ინტ. ამოცანას უნდა შეადგენდეს პროლეტარული ძალების რევოლუციონური დარახმვა კაპიტალისტური რეჟიმის წინააღმდეგ და სამოქალაქო ომის გამოწვევა ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატისა და სოციალიზმის იდეის გასამარჯვებლად: რომ ვინმეს არ მოეჩვენოს მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელების ღალატით რევოლუციისა და სოციალიზმის წინაშე გახვიადებულად. საქმეთა მოვიყვანთ ერთერთი გერმანელი რეპეციონერის თხზულებიდან ერთი ადგილი, სადაც იგი ამბობს, რომ 1914-1918 წლის ომმა ცხადად დაგვანახა და დავიმტკიცა, რომ ბურჟუაზიას არასოდეს არ ყოლია უფრო ერთგული მსახურისა და უკეთესი მოკავშირე, ვიდრე გერმანიის სოციალ-დემოკრატია, რომელიც დიდი დახმარება გაუწია გერმანიის ბურჟუაზიას იმპერიალისტური ომის წარმოებაში.

რუსეთის რევოლუცია, რომლის ხელმძღვანელად გამოვიდა იგივე მე II ინტერნაცი. მე-მარცხენე ფრთა, შეიქმნა ის მტკიცე ბაზა, რომელზედაც წარმოიშვა და გაიზარდა უკანასკნელი ეპოქის უდიდესი ორგანიზაცია, რომელიც გასაოცარი სისწრაფით იზრდება და ძლიერდება.

მესამე ინტერნაციონალი არის მარქსის იდეის ჭეშმარიტი განხორციელება—ძლიერი ფოლადივით, და ერთი ნაჭრიდან ჩამოსხმული რევოლუციონური ორგანიზაცია, გამაგრებული რუსეთის მუშათა კლასის უშუალო დახმარებით და საერთაშორისო პროლეტარიატის თანაგრძნობით. კომუნისტური ინტერნაციონალის სტრუქტურა თავდება იმის, რომ მას მსგავსად მე II ინტ., შიგნიდან ვერაეინ დაარლებეს.

მართალია კომინტერნს ჯერ არ მოუცია სრული გამარჯვება საერთაშორისო რევოლუციის, მაგრამ მის მიერ გაწეული შრომა მაინც ძვირფასია და დიდ მნიშვნელობის მქონე. მან პირველად დაანთო ცეცხლი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და აჯანყების დროში ააფრიალა კაპიტალისტური სისტემის დასაშობათ.

თუ პირველ ხანებში კომუნისტური ინტერნაციონალი იყო ორგანო პროპაგანდისა და აგიტაციის—მეორე პერიოდში იგი გამოდის მებრძოლი ორგანიზაციად, რომელმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს რევოლუციონურ მოძრაობას სხვა და სხვა ქვეყნებში თუ პირველ პერიოდში კომ. ინტერნაციონალს ახასიათებდა მედროშეობა საერთაშორისო პროლეტარიატისა, მეორე პერიოდში კომ. ინ-

ტერნაციონალი გვევლინება, როგორც პრაქტიკული ხელმძღვანელი ისტორიაში ჯერ არ ნახული კლასთა ჭიდილისა.

უეჭველად დიდებისა და ჭების ღირსია რუსეთის პროლეტარიატი, რომელიც ერთადერთი დამცველი იყო კომინტერნის და ნ წლის განმავლობაში გმირულად იგერიებდა საერთაშორისო კაპიტალის იერიშებს მიმართულს სწორედ იმავე კომინტერნის დასაშობათ.

კომინტერნის გამარჯვების თავდება ყველა იმ პირობების თავიდან აცილება, რომელმაც დამარცხების კარზე მიიყვანა მეორე ინტერნაციონალი. მეორეს მხრივ კომინტერნის გამარჯვება უზრუნველყოფილია სწორედ იმით, რომ მასში თავმოყრილია ყველაფერი ის, რაც კეთილშობილია, მტკიცეა და ბრძოლის ამტანია საერთაშორისო მუშათა კლასში.

კაპიტალისტური საზოგადოების წიაღში წარმოიშვა და დაეაყვაცდა კომინტერნი, იგი დღეს შეიარაღებულია საერთაშორისო პროლეტარიატის მტკიცე ნებით და გზადება საშუალო ბრძოლის გასამართავით, რათა სამუდამოთ მისკოს ადამიანთა შორის ექსპლოატაცია და დაბეჩავება და ძველი ეგოისტური საზოგადოების ნანგრევებზე ააგოს ახალი სოციალისტური წყობილება.

კომინტერნი იწვევს მუშათა მისებში რევოლუციონურ ენტუზიაზმს, აძლიერებს ენერჯიას, მრძმედს მათ ნებას და მიაქანებს შეუჩერებლივ ახალი მწვერვლებისაკენ საერთაშორისო კომუნისტური იდეის განსახორციელებლად.

კომინტერნი არამთუ ამხერეეს მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის საფუძვლებს, არამედ ახალი თანასწორობის და შრომის გაცნობის საფუძვლებზე აგებს ახალ საზოგადოებრივ წყობილებას. მან არამთუ აღმართა მიჯნა ძველი კაპიტალისტური სამყაროს დასასრულს, არამედ საფუძვლები ჩაუყარა ახალ ერას კაპობრობის განვითარებისას სამრწველო ძალთა საზოგადოებრივი ფლობელობისას და ერთა სოლიდარობისას.

ა კ—ძე.



პერიო „ბრალდების“ გამო

4 მარტს, საოპერო თეატრში, სეით დეგდარიანმა ერთი „ბრალდება“ წამოგვიყენა ჩვენ, ყოფილ მენ შვეიკებს.

— თქვენ მეთი კომუნისტები ხართ, ვიდრე თვით კომუნისტები არიან.

— თქვენ გაუზრბით კრიტიკას, არ აწარმოებთ მას, ყველაფერში კომუნისტებს აქებთ და აღიღებთ.

ჩვენ არა ერთხელ გვსმენია ასეთი და მრავალი ამგვარი შენიშვნები, მაგრამ მასზე თუ არ შეგჩერებულვართ მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოდ შეუძლებელია გასცე პასუხი ყველაფერ იმას, რასაც მოწამლოლი მენშევიკური მასა გადმოანთხებს ხოლმე—ქორიკანობისა და გაუთავებელ ლაპობის პროცესში.

ჩვენ არ ვსთვლით საქიროდ ვუპასუხოთ მათ.

მაგრამ დღეს იგივე ბრალდება სეით დეგდარიანმა განიმეორა და მასზე უსათუოდ უნდა შეგჩერდეთ.

რავია საქმე? რომელ კრიტიკაზე არის ლაპარაკი? თუ დეგდარიანს მხედველობაში აქვს ის კრიტიკა, რომლის შედეგად ჩვენ თავი წითელი დროშის ქვეშ ამოვყავით,—მაშინ ის შემცლარია.

— ასეთი კრიტიკის ქარცეცხლში ჩვენ უკვე გამოვსწვით თვითუფლი ფაქტი, თვითუფლი ნაბიჯი, როგორც ჩვენი, ისე კომუნისტების. ავსწონ დავწონეთ, ათასჯერ გაავარტიკეთ და მხოლოდ ამის შემდეგ იქნა გადადგმული გადამქრელი—ნაბიჯი 25 აგვისტოს. ასეთი კრიტიკის პერიოდში თვით დეგდარიანიც იმყოფება ეხლა.

მართალია, შეცდომები და ნაკლი აქვს იმას; ვინც რამეს აკეთებს, მოქმედობს.

ასეთი ნაკლისაგან არ არის დაზღვეული არც კომუნისტური პარტია, მაგრამ ამ ნაკლს და შეცდომებს თვით კომუნისტური პარტია აკრიტიკებს. მის თვით კრიტიკის არ ეშინია. ჩვენ შევიდარეთ: მენშევიზმი და ბოლშევიზმი ერთმანეთთან, დავრწმუნდით ბოლშევიზმი დგას სწორ და ნაადვივ გზაზე. ამიტომ მივედით მასთან.

მაგრამ იქნება სეით დეგდარიანის პრეტენზიები სწორედ ამ მისეღის მომენტიდან იწყება.

იქნება ის მოითხოვს, რომ ჩვენ ეხლა ვაწარმოვთ კრატია.

თუ ეს ასეა, მაშინ აქ დიდ ლოლიკურ შეცდომას აქვს ადგილი.

საქმე იმაშია, რომ ჩვენ 25 აგვისტოს შემდეგ ფაქტიურად გაკომუნისტებული ვართ.

ე. ი. კომუნისტები ვართ, მაშასადამე ვიზარებთ კომუნისტური პარტიის მოქმედების გეზს და პრაქტიკულ საქმიანობას. ხოლო კომუნისტური პარტია თვით აწარმოებს შიგნით საკუთარ პარტიის ჩარჩოებში თვით კრიტიკას.

ამის თქმა ხშირად უყვარს დეგდარიანს.

კარგი იქნებოდა, რომ ხანდისხან არ დივიწყებდეს იმას, რასაც ორი წუთის წინ იტყვის.

მან სთქვა იმავე 4 მარტს.

— კომუნისტები მით არიან მოსაწონი, რომ ისინი შეუბრალებლნი არიან თვით კრიტიკის წარმოებაში.

— კომუნისტური პარტიის ბელადი ლენინი, უსაშინელესი კრიტიკოსი იყო თავის თავისა და მისი პარტიის—მაშასადამე, თუ ეს ასეა, თუ კომუნისტური პარტია თვით აწარმოებს კრიტიკას, ხოლო ჩვენ ამ პარტიის დროშის ქვეშ ვართ დღეს—კრიტიკას ჩვენც ვაწარმოებთ. და ვაწარმოებთ საკმაოდ ძლიერად იქ, სადაც დავინახეთ საქიროდ, კომუნისტური პარტიის ინტერესებისათვის შეააფერისად.

მაგრამ კრიტიკას კომპარტიის მოქმედებისა ჩვენ ვაწარმოებთ და ამიერიდანაც ვაწარმოებთ თვით კომუნისტური პარტიის შიგნით. თვით იმ ოჯახში, რომელშიაც რევოლუციონური პროლეტარიატი არის გაერთიანებული.

შინაური ბრძოლის გამოტანა ჩვენი დანიშნულება არ არის. ჩვენ მივედით კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ მისი რიგები, გავაჯანსაღოთ და ამ საქმეს ყოველ ხერხით ვემსახურებთ. ს.

დევდარიანს კი ალბად სწორედ ეს საკითხი ინტერესებს; რატომ ჩვენ ყოფილი მენშევიკები, პარტიის გარეთ მდგომნი, არ ვაწარმოებთ ამ პარტიის გარეშე კრიტიკას. იმიტომ, სეით, რომ ჩვენ ვაკომუნისტებული ხალხი ვართ.

შრომა, შემოქმედება, ბრძოლა მშრომელი ხალხის მტრების წინააღმდეგ.

აი რა აწერია ჩვენს დროშაზე, წაიკითხეთ ეს თქვენც.

— შემდეგ აღარ იკითხავთ გაკვირვებით.

— რატომ არიან ყოფილი მენშევიკები კომუნისტებზე უფრო კომუნისტები.

— დედამ რომ შვილი გაწკეპლოს სახლში, ალბად რაიმე დაუშავებია ბავშვს და იმიტომ სცემს დედა შვილს, თუმცა ის უყვარს.

მაგრამ ვინ იტყვის, რომ შეცდომისათვის დედამ თვისი შვილი ცხენის კულში გამოაბა.

და საჯაროდ ქუჩაში გაათრიოს. როგორი დედა იქნებოდა ასეთი დედა?

ცხადზე უტყვადესია, რომ ამას ვერავინ ვერ იტყვის.

არცაა საჭიროეს ამ სახით.

ამას ვერ ვიზამთ, აშხ. სეით.

მაშინ რაღა განსხვავება გამოვა მაგალითად ჩვენსა და იმათ შორის, ვინც „კრიტიკის“ საშუალებით სცდილობს დასცეს საბჭოთა წესწყობილება?

არა, აშხ. სეით, ამ გზით ჩვენ ვერ წავალთ თუ ჩვენ კარგი კომუნისტები ვართ, ეს ძალიან კარგია.

ასეთი ვიქნებით მომავალში, ვინაიდან ამას ჩვენგან რევოლუციონური მშრომელი ხალხის ინტერესები მოითხოვს.

ყოფილი

ქვანთი ფრანსუა მენშევიკებს.

ქვან! მეგობარო! თქვენი აღერსი ქუჩისა შვილებს გულში ხვდებოდა და მომავალში თქვენს გამარჯვებას გულის ფანქრალით ელოდებოდა.

როს გამარჯვებით, თქვენი სიმღერა. და ქრიაშული ზეცას სწვდებოდა ქუჩის შვილები საცოდავები ისევე ქუჩაში იტანებოდნენ.

როს მარცხდებოდით და თქვენი გემი შავი ზღვის პირად იძირებოდა, თქვენს გადარჩენას ბურჟუაზია ვგონებ ჰალახსაც ვეფერებოდა.

მოტყუებულმა თქვენგნებმა მუშებმა მონახეს ფორნი გამომავალი და თქვენ კი ისევე ძველ გზაზე დგებართ შავი ქარ-ცეცხლის გედებათ ალი.

პარტიზანული ომიც დაიწყეთ ჩოლოყაშვილი მხარს გიმშენებდათ, რათ არ იკოდით ბოლოს მაგისტვის ყოველი მუშა შეგაჩვენებდათ?

განცხრომით ყოფას ალღო აუღეთ ევროპისაკენ თვალი ვიჭირავთ უნდა იკოდეთ ლალატისათვის მუშათა ძალა თქვენ დაგიჭირავთ.

ა. თოფაძე.



საგჰოთა სისტემა და საქართველოს დამოუკიდებლობა.

(ს. დევდარიანის მოხსენება.)

ჩემი მოხსენების მიზანი..

ჩემ მოხსენებას ექნება არა ვინმეს ლანძღვა გინების მიზანი, არამედ თეიტყობილია, რომელიც გვიანდერძა მარქსმა და, რომელსაც ყველაზე უკეთესად ბოლშევიკების ბელადი ლენინი ასარულებდა, ჯერ კიდევ 1920 წ., როდესაც მე ბოლშევიკების საწინააღმდეგო წერილებს ვწერდი, ვამბობდი, რომ ჩვენ ბოლშევიკებიდან უნდა ვისწავლით თეიტყობილია, კა და ამას შეძლებისდაგვარად პირადად მე ყოველთვის ვასრულებდი.

3 წლის განმავლობაში საქართველოს დიდი უბედურება დაატყდა თავს და ამაში დიდი დანაშაული მიუძღვის საქართველოს სოციალ-დემოკრატის, მის შეცდომებს, რომელმაც ჩვენ დამარცხებამდე მიგვიყვანა, დამარცხდა ჩვენი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, დამოუკიდებელი პოლიტიკა, რომელიც ამბობდა არც დენიკინი, არც ბოლშევიკები. ნ. ჟორდანიას თავიდან ამ საშუალო ხაზზე იდგა და მე ვფიქრობდი, რომ ის ბოლშევიკებს აირჩევდა, რაც სინამდვილეში არ მოხდა.

პირადად მე „ეროზობის“ უკანასკნელ ნომერში, რომელიც იმ დროს ქუთაისში გამოდიოდა უარყოფილი პარტიის ძველ ხაზს და შემდეგშიც, ჩეკაში მისვლამდე ვამბობდი, რომ საქართველო დაიღუპება, თუ ჩვენ ევროპის იმედებით ვიცხოვრებთ. 1921 წ. 10 აპრილსაც მე ამას ვიტყობდი, რომ პარტიის დისციპლინას არ დავმორჩილებოდი.

რა გამოიცვალა.

არავითარი ვადატრიკალება ჩემს აზროვნებაში არ მომხდარა. მამ რა მოხდა? რა შეიცვალა? რა გამოიცვალა?

მოხდა ის, რომ ჩეკაში მე მაჩვენეს მასალები, რომლებსაც მე არ ვიყავ გაცნობილი, ამბობენ, თითქო ეს საბუთები ჩეკაში შეიტხუთა. მე არ მინდა აქ ვიხმარო უხეში სიტყვა

ამ ტაქტიკის დასახსიათებლათ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ყველას, პოლიტიკური ორგანიზაცია იქნება ის, თუ ცალკე პირი, უნდა შესწავდეს გამბედაობა არ სთქვას უარი თავის ნამოქმედარზე. მე უნდა ვადაქრით ვსთქვა, რომ ეს საბუთები არ არის შემთხვეული.

ამ დოკუმენტებმა ცხად ჰყო ჩემთვის ჩვენი გზის სიმრუდე, დამანახვა მე, რომ ჩვენი პარტია ასცდა ძველ მენშევიკურ გზას. მე არ გამომიცვლია არაფერი, მე ვამბობ იმას, რასაც წინეთ ვამბობდი.

ნოე ჟორდანიას მრავალჯერ უთქვამს, რომ ორ ძალაში, რეაქციისა და ბოლშევიზმს შორის, ჩვენ ბოლშევიზმი უნდა ვირჩიოთო. როცა რედაქციაში ვმუშაობდი მე, მას ბევრჯერ შემოუთვლია, რომ ჩვენ რაც შეიძლება მკაცრი კილო დავიჭიროთ ანტანტის მიმართ და ლმობიერი, მეგობრული ბოლშევიკებისადმიო. და როცა ვიგონებდი მე ნ. ჟორდანიას ამ სიტყვებს, განა მე შემძლე იმისი დაჯერება რომ ჩვენი პარტია სხვაგან ეძებს საქართველოს ხსნას?

რა იმედით წავიდნენ აქედან საქართველოს მთავრობა, ს.დ. მ. პ. წარმომადგენლები? იმ იმედით, რომ საქართველო ცნობილია და არ მისცემენ მის დაპყრობის უფლებასო. ამ იმედით დარჩენ აქაც: ამ იმედმა საქართველოს სამი წლის წამება აგემა, ეყოფა ეს მას. მან უნდა გამონახოს სხვა გზა, რომ უკეთესად მოაწყოს თავისი ცხოვრება.

საზღვარ-გარედ არაფერი კეთდება.

ბევრი ფიქრობს თითქო იქ საზღვარ-გარეთ რაღაცას აკეთებენ, თითქო ქართველ ხალხს შეუძლია იქონიოს გარედან განთავისუფლებობის რაიმე იმედი. მაგრამ ეს არ არის მართალი. ის წერილები, ის მასალები, რომელიც აქ იგზავნებოდა საზღვარ-გარეთიდან, ამის იმედს არ იძლევა.

როდესაც ხალხი სამი წლის განმავლობაში მუშაობს საზღვარ-გარეთ, თითქო რაღაცას აკეთებს, იმედებით კვებავს ხალხს, მათ გარკვევით უნდა უთხარან ამ ხალხს, რისი იმედი უნდა იქონიოს, მაგრამ ამას ვერ ამბობენ გარკვევით, რადგან ჩვენი განთავისუფლება ვისიმე იმედით შეუძლებელია.

უსაფუძვლო იმედებით კვება

საზღვარ-გარეთ არსებობს ს.ს. დ. მ. პ. ბიურო, აი ბიუროში შედიან საქართველოს სოციალ-დემოკრატის საუკეთესო წარმომადგენლები. ამ ბიურომ გამოგზავნა მიმართვა საქართველოს მუშებისა და გლეხებისადმი. ეს მიმართვა, ჩემის აზრით, არის პასუხი ყოფილ მენშევიკების მიმართვაზე ნ. ჟორდანიასადმი. მე წავიკითხავთ ამ მიმართვას. ამ მიმართვაში მაინც უნდა იყოს გარკვევით ნათქვამი, თუ რისი იმედი უნდა ჰქონდეს ქართველ ხალხს. მაგრამ ამ საუკეთესო დოკუმენტშიც ვერ ნახავთ ამას, არ არის არაფერი ნათქვამი. აქაც არის კვება ხაზვალის უსაფუძვლო იმედებით.

ს. დევდარიანი კითხულობს „მიმართვას“, რომელიც სახსენა მენშევიკებისათვის ჩვეულებრივი ლანძღვა-გინებით: „ბოლშევიკური უროლოგი“, „საქართველოს დამყრობელები“, იტაცებენ ხალხის ქონებას, „კომპარტია იშლება“, რუსეთის პრესტიჟი ევროპაში ეცემა“ და სხვა. მე პატივს ვცემ და მიყვარს საზღვარგარეთ მყოფი ამაზნავები—განაგრძობს ს. დევდარიანი—მაგრამ ეს მე არ შემიძლია ხელს ვსთქვა, რომ ეს დოკუმენტი არის სოციალ-დემოკრატული იდეოლოგიის გაკოტრება. ისინი არაფერს ახალს არ ამბობენ. ისინი არ ითვალისწინებენ საერთაშორისო მდგომარეობას. იმის თქმა, რომ რუსეთის პრესტიჟი ეცემა ევროპაში, ამის თქმა იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი იცნობდა

სმა, იტალიამ, ზორავრებამ, იცნობენ სხვებიც. და ამანვე აგება თავის პოლიტიკის, ეს შეფუძლია კაცს, რომელსაც არაფერი არ სურს დანიშნოს.

მათ უნდა უთხრან ხალხს, რისი იმედი შეუძლიან დაიჭიროს მან. მაგრამ ისინი ამას არ ამბობენ, არ შეუძლიათ თქვან, რადგან ჩვენი ხსნა ევროპიდან უახრობაა, შეუძლებელია. ეს ვაკოტრებაა. ავადმყოფს, როცა მას გულსიცმება შეუწყდება, ქაფურს შეუშხაბუნებენ, რომ კვლავ აიხსნაონ გული. ასევე ემართება ჩვენს იმედებს, იმედები კვდება, მაგრამ მას აცოცხლებენ ახალი იმედების, უსაფუძვლო იმედების აღძვრით.

ვიმეორებ, ეს მომართვა რაიმე ჩრდილო იმედზე, რეალურ ძალზე, მითითების მხრივ არაფერს არ იძლევა. ვანა იქ შეიძლება ჩვენი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა? თუ ასეთი იმედი რეალურია, მაშინ უნდა ეთქვათ ეს, რომ შეეჩერება იმედი პარტიის რღვევა. ამბობენ, რომ ეს რღვევა მოხდა ჩეკის ძალდატანებით. მით უფრო საშარტხვინო ჩვენი პარტიისათვის, თუ ეს მართალია.

მაგრამ ეს არ არის ნათქვამი. ჩვენი პარტიის ბედ-იღბალს მისაგებებმა ეს ვერ სთქვეს. ამ დღემდამდე არ არის არც ერთი ცოცხალი ახრი, შე მიყვარს სახლვარ-გარეთ მყოფი ამხანაგები, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ეს არის იდეური ვაკოტრება, ნიადავის დაკარგვა.

ნ. ჟორდანიას წიგნი.

არც ნ. ჟორდანიას წიგნაკში, რომელიც სახლვარ-გარეთ გამოვიდა, აგრეთვე საიმედო არაფერია. ჩვენი სეპარატიზმი უარყოფით დემოკრატიულიაო, ჩვენ საქმეში რუსეთი ნუ ჩაერგება, შეუძლებელია ბოლშევიკებთან შეთანხმება ისე, როგორც მგლის და კრავის დამეგობრებაო. ბოლშევიკების რეჟიმი ძირმომპაილია, ვინ იქნება მისი მემკვიდრე, არავინ იცი-სო, ყოველ შემთხვევაში სახეირო მემკვიდრეს ჩვენ ვერ დავასახელებთ; თუ რუსეთი არ წა-ვა საქართველოდან, ჩვენ მრავალი შესაძლებ-ლობა გვქონება მის გასარეკათო. მაგრამ რა საშვალებით აპირებს რუსეთის გარეკას, ეს კი არ მჩანს. და მისი პოზიცია, მისივე სიტყვე-ბით რომ ვსთქვათ, ეს არის „წყალზე ფეხით გაჩერება“. ქართველებს ევროპის იმედი აქვთ და ეს იმედი არ ვაუტრუფდებათო, მაგრამ რას ემყარება ეს იმედები, ამის შესახებ ვერაფერს იტყობინება. იქნება საიდუმლო ცნობები იყოს და არ ამჟღავნებდეს, მაგრამ ნამდვილათ საი-დუმლო კი არა, არაფერი არ არის. ეს შეც-დომი კი არა, დანაშაულობაა ხალხს წინაშე. ვინ მოგვცა ჩვენ უფლება, ხალხს კედელზე ვა-ხეთქებოთ თავი? ჟორდანიას ალბათ იმედი აქვს ინტერვენციის, საჭიროა მისთვის ნიადაგის მომზადება შიგნით აჯანყების საშვალებით. ეს ხაზი აქვს აღებული დღეს საქართველოს სოციალ-დემოკრატის, და წინეთ კი ის ამ ხაზისგან შორს იდგა. სოციალ-დემოკრატის არასოდეს არ უფიქრია, რომ ევროპის მმარ-თველი წრეები გაანთავისუფლებენ რომელიმე ერს და როდესაც მან ეს იფიქრა, ის გასცილ-და, მოსწყდა სოციალისტურ ნიადაგს.

მეორე პოზიცია.

არის ჩვენს ამხანაგებში მეორე მიმართულებაც, რომელიც მჩანს გრ. ლორთქიფანიძის წე-

რილში და ანდ. ჭიბრიჭვილის წერილში ტროცკისადმი. ლორთქიფანიძის წერილი წარ-მოადგენს ბოლშევიზმის კრიტიკას, მაგრამ ბოლშევიკების საუკეთესო კრიტიკოსი იყო ლენინი და ამ მხრივ ლორთქიფანიძე ახალს ვერაფერს იტყვის. გრ. ლორთქიფანიძე ერთად ერთ რევოლუციონურ ხელისუფლებათ სთე-ლის საბჭოთა მთავრობას, რომლის დამხობა მოასწავებს მემამულეთა და ბურჟუაზიის ძა-ლაუფლების აღდგენას. ლორთქიფანიძის აზ-რით, საქართველოს სოციალ-დემოკრატია მლოიალური თანამშრომლობა უნდა დაიწყოს საქართველოს კომპარტიასთან, ეს არის გამო-სავალი არსებული მდგომარეობიდან და ან. ჭიამბრიჭვილიც იმავე გზას ადგია, როდესაც ის ტროცკის შესივის, რომ საქართველო კარ-გავს კულტურულ ეროვნულ ელფერს და სა-ჭიროა ამას წინ აღუდგეს კომპარტიამ.

რას უნდა დაემყაროს ნაციონალური მოძრაობა.

ეროვნული მოძრაობა დაყრდნობილი უნდა იყოს კლასობრივ ნიადაგზე. თუ ერის განთა-ვისუფლების დროსა ხელში უქირავს მუშათა კლასს, მაშინ ერის წინსვლა უზრუნველყოფი-ლია. ასე ამბობდა მარქსი.

არალეგალური ც. კ. და სახლვარგარეთის ბიურო ჩამოსცილდა ამ ნიადაგს.

ჩვენი ბრძოლა არ იყო დაყენებული კლასობრივ ნიადაგზე, ამიტომ ჩვენ ვეღარ ვიცავ-დით ერის ინტერესებს. ამამია ჩვენი დამარ-ცხება.

შეათავსეს თუ არა კომუნისტებმა კლასობ-რივი ბრძოლა ეროვნული განთავისუფლების საქმესთან? ეს მათ, ყოველშემთხვევაში ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხეს საესებით. ვერ მო-ახერხეს იმით, რომ ამავი ჩვენ გვიდევს პრაღი. ჩვენ ვებრძოდით მათ, მაგრამ მე ვფი-ქრობ, რომ ეს მოხერხდება, როცა ჩვენ ხელს ავიღებთ ავანტიურისტულ პოლიტიკაზე და დავიწყებთ მათთან მუშაობას.

ნათელი წარმოდგენა საქმეზე, რასაც მოი-თხოვს ნოე ჟორდანიას თავის უკანასკნელ წიგ-ნაკში, არ ჰქონდა არალეგალურ ც. კ., არა აქვს სახლვარგარეთის ბიუროს. ჩვენ ვფიქრო-ბდით, რომ საქართველოს გარდა მკედონალ-დსა და პუნკარეს არავინ უნდა ახსოვდეს. ეს იყო მეორე შეცდომა, რომელიც ჩვენ გვაშო-რებდა მარქსისტულ მსოფლმხედველობას, მარ-ქსისტულ ხაზს.

მარქსი და ენგელსი ამბობენ: „როცა ეროვნული მოძრაობა რეაქციას ეკედლება, არ ვარგა ის, მას მხარი არ უნდა დაუჭიროთო“.

არალეგალური კონფერენცია ამბობს, რომ „უნდა გადადგმულ იქნას ნაბიჯები ევროპის მმართველ წრეებში“ საქართველოს საკითხის გადასაჭრელად. რას იტყვია მარქსი ამანზე. არის ასეთი გეგმა. ხდება სახელმწიფოების დაჯგუფება. საქართველო ერთ მთვანს უნდა მიეკედლოს.

რატომ ხდება დაჯგუფება? კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგობის გამო. შესაძლებელია ომი. საქართველო მოე-ტყევა ამ ქარცეცხლში. ამას უფარდებს თავის ტაქტიკას ეროვნულ საკითხში საქ. სოც.-დე-მოკრატია.

ვისთან უნდა ვყოფი ჩვენ.

მარქსიზმი მხარს უჭერს რევოლუციას და არა რეაქციას. ამიტომ მარქსიზმი არის ბოლ-შევიკებთან და და არა ანტიანტიანთან.

ნ. ჟორდანიას ამბობს, ჩვენ ევროპასთან უნდა ვყოფიოთ.

ევროპა ორგავია: მმართველი წრეების და მშრომელი ხალხის.

არალეგალური კონფერენცია მმართველი წრეებისაკენ არის.

რუსეთი იმიჯნება მმართველი წრეებისაგან და მარქსისტები მასთან უნდა იყვენ.

დემოკრატია სხვადასხვანაირია: „დემოკრა-ტია“ და მუშური დემოკრატია.

ბოლშევიზმი პრინციპიალურად არ არის დე-მოკრატიის წინააღმდეგი.

ლენინი ამბობს: სოციალიზმი ვერ გაიმარ-ჯვებს ისე, თუ დემოკრატია ბოლომდის არ გაატარაო.

რა მოხდება, რომ ევროპის მმართველმა წრეებმა დაამარცხონ საბჭოთა მთავრობა. ჟორდანიაც ამბობს, რომ სახეირო არ იქნება. ცხადია. რომ ეს საშინელი რეაქცია იქნება. მაშ რაზე ვამყარებთ ჩვენს ეროვნულ უფლე-ბებს? საშინელ რეაქციის დროს საქართველო განადგურდება და თუ ჩვენ ევროპის მმარ-თველი წრეების მოიმედ ვიქნით, ეს რეაქციის მოახლოება იქნება.

საბჭოთა სისტემის გამოცვლა რუსეთში შე-უძლებელიცაა და არა სასურველიც.

საბჭოთა სისტემა და პროლეტარიტის დიქტატურა.

ჩემის აზრით, საბჭოთა სისტემა კომპარტი-ის დიქტატურა არის, მაგრამ პირობები ისეთია, რომ სხვა ნაირათ არც შეიძლება, მაგრამ თუ საბჭოთა ეკონომიური აღმშენებლობა წავიდა წინ, მაშინ მუშათა კლასი მოიყრის თავს სა-მრეწველო ცენტრებში და ნამდვილი მუშათა დიქტატურაც განმტკიცდება. ბოლშევიკები უკვე იკაფავენ გზას მუშური დემოკრატისაკენ სხვადასხვა წრეების, კონფერენციების მუშათა და გლეხთა დაკავშირებით და სხვა.

ჩემის აზრით, ბოლშევიზმისა და ძველი მენ-შევიზმის შორის არსებითი სხვადასხვაობა არ არის და თუ პოლიტიკურ ბრძოლა მისუსტდა, ჩვენ თანდათან უფრო დაუახლოვდებით ერთ-მანეთს, მოხდება შესისხლბორცება დემოკრა-ტიზმის და დიქტატურის. ბოლშევიზმიც ხომ არ უარყოფდა დემოკრატიზმს.

მენშევიკებს ჰგონიათ, რომ საქართველო დამოუკიდებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი იქნენ მის სათავეში, მაგრამ რატომ, არ შეიძლება საქართველო დამოუკიდებელი იყოს ბოლშევიკების დროს? ინგლისის და სა-ფრანგეთის ჯარები სერგო ორჯონიკიძეზე და მამია ორახელაშვილზე უკეთ ვერ დაიცვენ საქართველოს დამოუკიდებლობას. ცალკე სა-ხელმწიფოს არსებობა აუცილებელი არ არის ერის კულტურულ-ეკონომიურ განვითარების-თვის. შეიძლება გსხვაც გლახათ გეპონდეს საქ-მე ამ მხრივ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ევრო-პის მფარველობის დროს უკეთესად ვერ იქნება.

საქართველო უნდა იყოს საბჭოთა კავშირ-თან. როცა მე ვადარებ თუ რა ხდებოდა კუ-

ლტურულ-ეკონომიურ დარგში წინათ და რა კეთდება ახლა, უფრო ახლა ცოცხალია. თუ ჩვენ საქართველოს კეთილდღეობა გვსურს, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ამ კავშირში.

მეორე და მესამე ინტერნაციონალი.

მეორე ინტერნაციონალი იმედებით გვკვებავდა, ჩვენ მან დათვური სამსახური გავვიწიოთ ამ იმედებით. ის დამარცხდა ჩვენ საკითხში.

მეორე ინტერნაციონალი დამარცხდა საერთაშორისო მასშტაბითაც. მან ვერ აამოძრავა მასში თავმოყრილი მრავალი მუშები ასეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხების გამო, როგორც არის რურის, საკონტრიბუციო და სხვა.

ბოლშევიკებს ეხერხებათ სიტყვის საქმეთ გადაქცევა. მესამე ინტერნაციონალი ამ მხრივ უფრო მოძრავია, უფრო ხერხემალიანია.

პირადად მე არც მესამე ინტერნაციონალი მაკმაყოფილებს, მასაც ჰქონდა შეცდომები და ისიც ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება და არ ვიცი რა გზას დაადგება საბჭოთა რუსეთის საზღვარგარეთელი სახელმწიფოების ცნობის შემდეგ, შეიძლება ახალი ინტერნაციონალი დაარსდეს მომავალში.

ჩემი პოზიცია.

დღეს კი მე ხელში მიკავია მუშათა კლასის დიქტატურის დროშა, თუმცა კომინტერნს არ უერთდები და ამიტომ ვერც ყოფილ მენშევიკთა ყრილობის პლატფორმას ვიზიარებ სავსებით.

უნდა შეიქმნეს თანამშრომლობის საშუალება, დაეანებოთ თავი მაკლონაღდის და სხვათა იმედებს. თუ კომპარტიის მე-12 ყრილობის დადგენილებები ვატარდა სავსებით, ამით საუკეთესო პირობები შეიქმნება საქართველოს განვითარებისათვის, მე ბრძოლას ვუცხადებ ინტერვენციის და ავანტიურის გზას და ამაში ბოლომდე დაუნდობელი ვიქნები.

კ ა მ ა თ ი.

მოსხენების დასასრულდ შემოდის აუარებელი წერილობითი შეკითხვები, რომელთა უმრავლესობა მენშევიკური არალეგალური ცეკას ჩვეულებრივ ლანძღვა-გინებას წარმოადგენს. იყო საქმიანი ხასიათის შეკითხვები და წერილებიც, რომლებზე ნაწილობრივ მომხსენებელმა თავის საბოლოო სიტყვაში გასცა პასუხი, ზოგს კი დაპირდა პასუხის გაცემას პასუხის საშუალებით და აგრეთვე მოხსენების განმეორებით წაკითხვის დროს.

ამხ. ს. ორჯონიძის სიტყვა.

პირველ სიტყვას ამბობს ამხ. სერგო ორჯონიძე, რომელსაც დარბაზი ხანგრძლივი მზურვალე ტაშის ცემით ეგებება.

წელმა განვლო მას შემდეგ, რაც უკანასკნელათ ს. დედარიანთან შექონდა კამათი იმ საჭირობოროტო საკითხებზე, რომელსაც დღეს დედარიანი შეეხო თავის საინტერესო მოხსენებაში. ბევრ იმას, რაც მაშინ ს. დედარიანს სიმართლედ მიაჩნდა, დღეს ის ყირამა-ლა აყენებს. მას ჯერაც ვერ უპოვია სწორი გზა. დედარიანი დღესაც დიდ რყევას განიცდის. დღეს ჩვენ არ ვფიქრობდით და არც ვფიქრობთ შევხებოთ არსებით მის მიერ წამოყენებულ კითხვებს და დებულებებს, რომელიც,

„გამაკი“

ასე მალე

დავიღალე—

აღარა მაქვს მეტი ღონე—

—გამიგონე...

რა კარგია ეს გამაკი..

(მაგონდება აგარაკი) •

შიგ რომ ვწევარ და ვქანაობ აღარ მიჭირს ლაპარაკი და მგონია სინამდვილე-სიზმარია და არაკი.

შრომობ, იბრძვი დღე და ღამით.

ვერ ისვენებ ვერც ერთ წამით...

ვერ მიხვდები,

რომ იღლები...

და ახლა კი... ახლა... ახლა

საბჭოები რომ გვეახლა—

ვწევარ ჩემთვის არხენად ამ გამაკში...

არ მაქვს საქმე,

მხოლოდ აქ მე

რომ მამალი დედალს ეტრფის—შეუძახებ: „აქში“ „აქში“.

და ვაგზავნი მე მათ ზაგში.

ჰო, ქანაობს ეს გამაკი...

ძირს არ მოსჩანს იატაკი.

ვითელი ჰერში ყველა ფიცრებს

და მაფიქრებს:

ეს ლურსმანი ვინ ასქედა ზევით, ნეტა?...

თავი როგორ გაიმეტა?!

ჰო, ქანაობს ეს გამაკი

და თუ კაციც ასე-ასე აქეთ-იქით იქანავებს

არ შეხვდება ფათერაკი—

სახიფათო ნაპირიდან გადაიყვანს იქა ნავებს.

აქეთ-იქით

აქე რიგით...

იქანავე,

თავი მაგრად შეიკავე...

არც შამტური,

არცა მწვადი...

არცა ფური,

და არც ხვადი...

ისე—რალა

როგორც აღა...

მალე მოვა გაზაფხული

და მოჰყვება მას ზაფხული

და ზაფხულს კი ბევრი მწერი

და ბუზებით გაიფენება სახლის ჰერი,

იქანავე ამ გამაკში,

როგორც ვინმე დიდი ტუზი...

დაითვალე ყველა მწერი, არ დატოვო ერთი ბუზი

და თუ დაგჩჩეს—დაიჭირე და დაახრჩვე ის კარაქში.

რა კარგია ეს გამაკი...

— და ძილს ასე შეგაყვარებს, რომ გახდები ძილის გულა...

დიდი არის ქვეყნისათვის მისი ღვაწლი და ამაგი...

ამ გამაკით მოგინდება მესაათის ამპლიტუდა..

იგიც ასე...აქეთ-იქით...

და აღვიძებს კაცთ ტიკტიკით.

მიდის... მოდის

და ვინ იცის გაჩერდება იგი როდის?!

რა კარგია ეს გამაკი...

დავიღალე მეტად მიჭირს ლაპარაკი...

დანარჩენი მერე... მალე...

რა კარგია ეს გამაკი.

მენგა.

რასაკვირველია სწორად არ მიგვაჩინა. ამას განცხადებას, ვითომდა საქართველოში ქართველ ერს უნდობლობის თვალთ უყურებდნენ ჩვენ სხვა დროს შეგვხებით. ვითომ და ქართველს საქართველოში შრომის დღეს ეხებით მხოლოდ მის უკანასკნელ ვითომ

უფლებად არ ჰქონდეს, ვითომ და შტატების შენეციონების დროს ჯერ მენშევიკს სტოვებოენ სამსახურის გარეშე, მერ სხვაგვარად ქართველს და მათ მავიერად სტოვებოენ სომხებს და რუსებს, საზოგადოთ არაქართველებს; კიდევ მეტი, თითქმის ჩვენ, ქართველები საქართველოდან სომხეთ-ადერბეიჯანში გადაგყავდნენ და იქიდან სომხები და თათრები გადმოგყავდნენ აქ. ჩვენ ვფიქრობთ ასეთი ბრალდებების წამოყენება უბრალო სიტყვებით შეუძლია, აქ საჭიროა ფაქტები; და ეს მით უფრო საჭიროა ს. დევდარიანისგან, რომელიც გულწრფელად ეძებს ჩვენთან სერიოზულ ვნას.

აქ, ამ კრებაზე მე ვეხდავ ერთ მოქალაქეს, რომელსაც არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის იგივე. რაც აქ სთქვა ს. დევდარიანმა. მე მას არა ერთხელ და ორჯერ ვსთხოვე მოეყვანა მაგალითები, დაესახელებია დაწესებულება, სადა ასეთი ბოროტმოქმედება ხდება, მოეყვანა გვარი და სახელი იმ პირებისა, რომელნიც სამსახურიდან დათხოვნილი იყვენ და არ მიიღეს იმ მოსაზრებით, რომ იგი ქართველია.

მე ეხლაც ასე ვაყენებ ამ კითხვას და ვსთხოვ ყველას და მათ შორის პირველად ს. დევდარიანს დასახელონ დაწესებულება, გვარი, სახელი ერთი სიტყვით მოიყვანონ ფაქტები და ჩვენ საჯაროთ ვაცხადებთ, რომ ასეთ ბოროტმოქმედს სასტიკათ დავსჯით.

მხოლოდ ვერ დავუფიქრებთ ვერავის და ეს მე კერძოთაც უხარია ს. დევდარიანს, რომ იმ მენშევიკებს, რომელნიც საქართველოს ბედობლას დასავლეთის იმპერიალისტების და შინაურ ბანდიტების ხელს ანდობენ, ქართველ გლეხს და მუშას სისხლის ღვრას უშვებდნენ. მათ ჩვენ არა თუ სამსახურიდან გადავადებთ, არა თუ უნდობლობის თვალით უყურებთ, არამედ ისინი ჩვენი მტრებია და მტერთან კი ჩვენ სასტიკ ბრძოლას ვეწვევით. ჩვენ არ ვფიქვით, რომ ქართველი ერთ ჩვენ მთლიანად არ მიგვაჩინია, ჩვენ გვწამს ერთ მუშის და გლეხის, მზათ ვართ მისი ინტერესების დასაცავათ უკანასკნელი სისხლის წვეთი შევსწიროთ.

ჩვენ მზათ ვართ ძმური ამხანაგური ხელი გაუწოდოთ ქართველ ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც მიზნათ ისახავს ემსახურის ქართველ მუშას და გლეხს, მხოლოდ ჩოლოლოყაშვილის ქართველებს ჩვენ შავრანელებს ვუწოდებთ, ქართველი ერის მოღალატელ ვაღიარებთ და სასტიკ ბრძოლას ვაწარმოებთ მათ წინააღმდეგ. ამით ვათავებ ჩემს მოკლე სიტყვას და მომხსენებლის პრინციპიალურ დებულებათა განხილვას კი სხვა დროს დაუბრუნდებით.

დ. ხარტიშვილი

ორატორი ილაშქრებს ს. დევდარიანის წინააღმდეგ, ამბობს ზოგიერთ ფაქტებს მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოქმედებიდან საქართველოს გასაბჭოებამდე, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მუშათა მასების სულისკვეთებას ბელადები ანგარიშს არ უწყებდნენ. ორატორი ამის გამო ჩამოსცილდა მენშევიკურ პარტიას და დღეს სერთ დევდარიანის გზაზე უფრო სწორათ მას ყოფილ მენშევიკთა ყრილობის პლატფორმა მიიჩნია.

ფარნიევის სუტყვა

მშვენიერი მოკლე კრიტიკული პასუხი ვასცა მომხსენებელს ს. ფარნიევმა, რომელმაც ამხილა გაურკვეველობა მისი პოზიციისა.

დევდარიანმა სთქვა, რომ ჩემამ აჯობა არალეგალურ ცეკასო, აღმოაჩინა ყველაფერი მისი მიწერი მოწერაო, და ეს ძალიან სასიხარულოა, რომ ჩემას ის საბუთები არ ენახა დევდარიანი დღესაც ძველ პოზიციებზე დარჩებოდა.

ჩვენ თავიდანვე ვარწმუნებდით ს. დევდარიანს ცეკას პოლიტიკის დამლუპველობაში, მაგრამ ის გვეყვამთებოდა, გვეციხავდა ჩვენ, როგორც მას კიცხავს დღეს არალეგალური ცეკა.

დღეს ის დაუახლოვდა ჩვენს პოზიციებს და ამბობს, რომ ბოლშევიკებმა მენშევიკების სიტყვა საქმედ აქციესო, მაგრამ მაინც ვერ უერთდება კომინტერნს, თუმცა მეორე ინტერნაციონალი არ მოსწონს, ბელადი ასეთ გაურკვეველობაში არ უნდა იყოს, ის ამბობს—მეიძლება მომავალში სხვა ინტერნაციონალი დაარსდესო, მაგრამ მანამდე რა უნდა ვაკეთოთ? ამას ვერ გვეუხებთ. და მე ვფიქრობ, რომ ყოფილ მენშევიკთა კონფერენციამ უფრო სწორი გზა აირჩია და რაც დროზე ამოირჩიეს ამ გზას დევდარიანი—მით უყუთესი.

არჩილ რუხაძე

არჩილ რუხაძეც იმავე აზრებს იცავს, როგორც ფარნიევი. არც ერთი ინტერნაციონალი არ ვარგაო, ამბობს დევდარიანი. ეს გაუგებრობის და ბუნდოვანების ნიშანია და მენშევიკთა პარტიის ყოფილი წევრი მუშები ამ გზით ვერ წავლენ, მათ თავის ბელადზე უფრო ადრე აღმოაჩინეს უფრო სწორი გზა—კომინტერნისკენ. მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრება იხურება ღამის 3 საათზე.

„კომ.“



აზხ. პ. გაგილოძის ხსოვნას

ვინ არ იცნობდა ახალგაზრდათა შორის ერთ დროს სიცოცხლით საესეს და თავდადებულ მუშაკს აზხ. პეტრეს.

ის, როგორც ღირსეული და საკმაოდ დამსახურებული ახალგაზრდა ყოველთვის პირველ რიგში იდგა დაწყებული ჯერ კიდევ გიმნაზიის ნ კლასიდან.

ღარიბი ოჯახის შვილი, ქართველი სტუდენტი, ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ სწავლა შეეძინა და მით სარგებლობა მოეტანა მის ახლოს ყოფდ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

ხშირათ უბინაოთ მშვიერი და მწყურვალი დღეობით გადაუტანია მის ფიზიკურ აგებულებას, რადგან ეს ხომ ხვედრი იყო აქამომდე ღარიბ გლეხურ ოჯახიდან გამოსულ ქართველი სტუდენტის.

ნესტიანი სარდაფები, რომელიც ყოველთვის საზუღარაა იმ საშინელი ავადმყოფობის, რომელიც სიცოცხლეს უსპობს ახალგაზრდას ჯანმრთელობის იმ მიზეზად გახდა, რომელმაც იმსხვერპლა აზხ. პეტრეს სიცოცხლე.

აზხ. პეტრე თავის თავდადებულ მუშაობას ეწეოდა 1917 წლიდან „ახალგაზრდა მარქსის-

ტი“ ორგანიზაციაში“, რომელსაც ერთ დროს დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა, ქართველი ახალგაზრდობის მარქსისტულად გაწვრთნაში.

მან ორგანიზაციული მუშაობა დაიწყო ქუთაისში, სადაც ის ყოველთვის მზათ იყო, შესერულებია, ორგანიზაციული დავალებანი. ამ დროს ქუთაისში იყო ფენომოდგმული „ქუთათურ ახალგაზრდობის ჯგუფი“, რომლის წინააღმდეგ ილაშქრებდა „ახალგაზრდა მარქსისტები“, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კიხსებების გადაჭრის დროს.

რამდენადაც ბრძოლა ახალგაზრდა სოციალ დედერალისტებთან, რომლებიც გამოდიოდნენ დრომოდგმული აზროვნების დამცველებათ პროგრესიული იყო, უდაოა დაუფიქარი იქნება იმ ახალგაზრდის თვდადებულ მუშაობა, რომელიც ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ გამოეშვარაგებინა თავის შეძლების და გვარად ამ აზროვნების პრაქტიკული და თეორიული სიყალბე.

გიმნაზიის კურსის დამთავრების შემდეგ აზხ. პეტრე შედის ქართულ უნივერსიტეტში სიტყვიერების დარგზე. ერთ და იმავე დროს მას უხდება, როგორც ორგანიზაციული მუშაობა, ისე უნივერსიტეტში შეცადინებოდაც. ამასთანავე, რომ უარსებობის საშუალება ეწოვნა ის მასწავლებლობს შრომის სკოლაში და მას შეეძლო თავისი წვლილი განათლების დარგშიც. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა უცვლელი რჩება, ის ეწევა, როგორც აკადემიურს, ისე ორგანიზაციულ მუშაობას და ასრულებს ყველა დავალებებს.

მისი მუშაობის ნაწილი ფსიქოლოგიური შეუუუბლობის ნიადაგზე მიმართული იყო საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ, მაგრამ ამ გაუგებრობას ის მღე უღებს ბოლოს და 1923 წლის „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ლიკვიდაციაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს.

სოციალური მდგომარეობით გამოწვეულმა გარდატეხამ პეტრე კვლავ დაუბრუნა იმ რევოლუციონერ ახალგაზრდობას, რომელსაც ისტორიულმა გაუგებრობამ ის ჩამოაცილა.

ჯერ კიდევ 1923 წლის სექტემბრის რიცხვებში, როდესაც ახალგაზრდა მარქსისტებს შორის დაიწყო ფართო მასსური გადახრა ძველი პლატფორმის დატოვებით, პეტრეც ამ ახალგაზრდობის გზას ადგება და ქ. თბილისში. სადაც ის ეწეოდა დაწყებულ 1920 წლიდან მუშაობას სახელობ მე-3 რაიონში, ხელმძღვანელობს ამავე რაიონის სალიკვიდაციო კონფერენციის ჩატარებას.

თავდადებული და გულწრფელი შრომით, რომელიც ყოველთვის ახასიათებდა აზხ. პეტრეს, აქაც საკმაო შედეგებს მიიღწია. სრულიად საქართველოს ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა სალიკვიდაციო ყრილობის ჩატარების შემდეგ აზხ. პეტრე გახდა ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის რევოლუციონერ ორგანიზაციის წევრი.

ამ დღიდან აზხ. პეტრე ცდილობდა, რომ საბჭოთა პლატფორმაზე ემუშავნა ისე, როგორც კეთილმინდისიყო ახალგაზრდობას და მით გამოეყვინა მას ყველა ის დანაშაულებანი, რომელიც გაუგებრობის ნიადაგზე იყო აშენებული.

მაგრამ უდროვო სიკვდილმა ამხ. პეტრეს ამის საშველება არ მისცა.

თებერვლის რიცხვებში, როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცადინეობა შეწყდა, პეტრე სხვა ამხანაგებთან ერთად მიემგზავრება გურიაში დასასვენებლად თავის მშობლიურ კერ ქვეშ.

ამ დროს მასში თავს იჩენს ის ავადმყოფობა, რომელიც კარგა ხანია ამწარებდა მის ფიზიკურ ავებულებას და თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში საშუალოდ ეთხოვება თავის საყვარელ ნაცნობებს და ნათესავებს.

ჩვენთვის დიდი დანაკლისია ამხ. პეტრეს სიკვდილი, საქართველოს რევოლუციონერმა ახალგაზრდობამ მასში და კარგა დიდი ენერგიული მუშაი, რომლის გამოყენება ყოველ დარგში შეიძლებოდა.

ამხ. პეტრეს პიროვნება იმ ახალგაზრდობის ხსოვნაში, რომელიც მას კი იცნობდა ოდესმე წარუშლელი დარჩება, მას არ დაივიწყებს ახალ კომუნისტური კავშირი.

თუმცა მოკვდა ჯერ კიდევ სიცოცხლით საეც ახალგაზრდა, ის ამიერიდან აღარ იქნება ჩვენს რიცხვში, მაგრამ ის ახალგაზრდობა, რომელიც მისთან იყო დიდის პატივისცემით მოიხსენიებს მის სახელს.

შ. სიხარულიძე.



პრეპა მუშაის სიხაში

არემ ჩახუას სიტყვა

ამხანაგებო: მე ვლაპარაკობ ჩემი და აქ მყოფ ახალგაზრდა მარქსისტების სახელით—მონღო-ბილობით. იმ დროს, როდესაც მსოფლიო ორ ბანაკათა გაყოფილი, ერთ მხარეზე დარაზმული პროლეტარიატის ის ნაწილი, რომელიც მისდევს მარქსის ანდერძს და არ ზოგავს სიცოცხლეს ამ ანდერძის განხორციელებისათვის ბრძოლაში, მეორე მხარეზეა დარაზმული შაგი რეაქცია, რომელსაც პირი დაუღია მუშათა კლასის მონაპოვართა ჩასანთქავით, ჩვენ არ შეგვიძლია ამ დროს ვიდგეთ განზე და არ შეგვიროთ ჩვენი ახალგაზრდობა და მარქსისტული ცოდნა მუშათა კლასის ინტერესებს, მისწრაფებებს. მართალია, ჩვენ, ახალგაზრდა მარქსისტები ამდენ ხანს ჩვენს ცოდნას ვანდომებდით მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას ისევე, როგორც მოზრდილები, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაუკეთეთ ანალიზი ჩვენს მოღვაწეობა—საქმიანობას, მას შემდეგ, რაც გავეცანით და შევისწავლეთ საბჭოთა რესპუბლიკების ექვსი წლის მოღვაწეობა, მას შემდეგ, რაც ჩვენი პარტიის წევრების უმრავლესობამ შარშან აგვისტოში და ახალგაზრდა მარქსისტების ოქტომბერში, მოწვეულმა ყრილობებმა ყველაფერ ამას გაუკეთეს ორმა ანალიზი, გაწყვიტეს საშუალოდ კავშირი ანტი-კომუნისტურ პარტიებთან და დაბრუნდნენ კვლავ თავიანთ პროლეტარულ ოჯახში, ჩვენ აღარაფერი დაგვრჩენია სალაპარაკოდ და ჩვენც მათთან ერთად ამიერიდან. აქ ლაპარაკობდნენ მძიმე და საპასუხისმგებლო ხანაზე, ეს მძიმე და საპასუხისმგებლო საკითხები გადასჭრა აგვისტოს ყრილობამ, მისი პლატფორმაზე დადგა მთელი

პარტია თითო ოროლა თავმოყვარეობის სენით მოწამლულის გარდა, ამ პლატფორმაზე ჩვენი პარტიის ცეკას თავჯდომარე ს. დევიდარიანიც დაადგა და მასაც აღარ დარჩა არაფერი სალაპარაკოდ. ასე რომ ახლა ჯერი ჯორდანია, დიდ ნოეზეა, ისიც უნდა მოვიდეს ჩვენთან და მანაც უნდა იმუშაოს ჩვენს რიცხვში მუშათა და გლეხთა რესპუბლიკების მთელ მსოფლიოში დასაწყარებლად. ჩვენ აგვისტოს ყრილობას ვემდუროდით იმისთვის, რომ ჯეროვანად ვერ დააფასა დამოუკიდებლობის საკითხი, ახლა კი დაგვწმუნდით ურწმუნო თომები, რომ ერის დამოუკიდებლობა, მისი კულტურული და ეკონომიურად აღორძინება შეუძლიან მხოლოდ და მხოლოდ ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც ხელმძღვანელობს მუშათა კლასი და კომუნისტური პარტია, ამ დებულებას დიდინის დავაყოყმანის შეძლე სებით დედებარაინიც მიემხრო. რომელი რთული-თავსატები საკითხიც გინდათ აიღეთ, რომ მართალი არ იყვენ ჩვენი ამხანაგები, რომლებმაც აგვისტოს ყრილობაზე აშკარათ გადაწყვიტეს მიზანშეწონილია. მართალია უტეთესი იქნებოდა, რომ დღევანდები ხელმძღვანელობით მომხდარიყო ყველაფერი ეს, მაგრამ, რადანაც ლიდერები განზე იდგენ, ვერ აუღეს ალღო შექმნილ მდგომარეობას, ვერ მიხედენ დროზე ბრძოლის მეტოდების ტაქტიკის მიზანშეუწონლობა-უარვისობას და მისი დროზე შეცვლის საჭიროებას, და მიხედენ უფრო დაბლა მდგომი ამხანაგები, ამიტომ საყვედურის მაგიერ მადლობა უნდა უთხრათ გაბედული ნაბიჯის გადადგმა-დაკვირვება-სწორ გზაზე დადგომისათვის. ამხ. ფარნიევა თავის მოკლე მოხსენებაში ყველაფერი ეს ნათლად დაგვიმტკიცა, მან გვითხრა, ვინც შეგნებულათ გულწრფელთაგანებულათ იმსჯელებთ და შეგნებულათ დაღვებით პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე ჩვენთვის მისაღები იქნებით და ისინი, ვინც შიშით ან ხათრით ან სხვა რაიმე მოსაზრებით გვეტყვის, თქვენთანა ვარო, ჩვენს გულის წყრომა-სიძულვილს დაიმსახურებსო. აქ ყველაფერი ნათქვამი, ამხანაგებო, და ჩვენ აშკარათ უნდა ესთქვათ. გაუმარჯოს აგვისტოს ყრილობას, გაუმარჯოს ჩვენს მასთან შეერთებას, გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს, გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს და მის ხელმძღვანელ-სულის ჩამდგმელ კომპარტიას.

სიო ქანტურიშვილის სიტყვა.

ამხანაგებო! ვის შეეძლო წარმოედგინა, რომ მენშევიკები და ბოლშევიკები, ეს ორი ძმა შეურავებელ სამკვდრო სასიცოცხლო ომს გამოუცხადებდნენ ერთმანეთს და ძმთა სისხლს დაღვრიდნენ, მაგრამ ეს ისტორიული ფაქტია და ჩვენ მოვალენი ვართ ობიექტიურად შევაფასოთ ეს და აქედან შესაფერისი დასკვნა გაუკეთოთ. თუ გაუტობას არ გამოვიჩინოთ, ამის გაშუქება არც ისე ძნელია. არის თუ არა ჩვენთვის მისაღები საბჭოთა სისტემა? მიზან—შეწონილია თუ არა ამ სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა? ჩვენ ვამბობთ არა.

მის წინააღმდეგ ბრძოლა მშრომელი ხალხის ინტერესების-მიზნების შებღალღვა-ღალატია. ჩვენი ქვეყანა მშრომელი ხალხის ქვეყანაა და მისი ინტერესები მოითხოვენ სწორედ ასეთ

მართვა გამგებობის სისტემას, სხვა გვარი მართვა-გამგებობის სისტემა კი, პარტიით, უწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. ჩვენ ქვეყანას შეუძლიან განვითარდეს კულტურულად და ეკონომიურად მხოლოდ იმ შემთხვევა-პირობებში, თუ მართვა გამგებობის სათავეში იქნება მხოლოდ მუშა-გლეხების ხელისუფლება და ამ სისტემის უტყუარი გამტარებელი მუშათა კლასის დიქტატურა და მისი ხელმძღვანელი-წინამძღოლი კომუნისტური პარტია. ჩვენი პარტიის წევრების უმრავლესობამ აგვისტოს 25 ში, შარშან, თავის ყრილობაზე ნათლად გაარკვია ეს და მისი დადგენილებები მიზანშეწონილია და ჩვენ ვებებულობთ მას საეცებით, ვინაიდან ამაზე გარკვეული ხაზი ჩვენი პარტიის ცეკას და საზღვარ გარეთ მყოფთ არ მოეპოვებათ და მოუწოდებთ, მათაც ხელი აიღონ ჩვენი ქვეყნის დამღუპველ პოლიტიკაზე, დაბრუნდნენ აქ და იმუშაონ საბჭოთა სისტემის გამაგრება-განმტკიცებისათვის. მართალია ეროვნული საკითხის ირგვლივ ამდენ ხანს ჩვენი შეხედულობით არსებობდა გაუგებრობა, მაგრამ ესეც ამოიწურა და დღეს უღათო უნდა ჩაითვალოს, რომ ერის თავისუფლება ახლა მეტათაა უზრუნველყოფილი საბჭოთა კავშირის სიძლიერით, ვიდრე ეს იყო ოდესმე. უღათო ისიც, რომ არავითარ ბურჟუაზიულ-პარლამენტარულ შესწავილებას-სისტემას არ შეუძლიან შექმნას ჩვენი ქვეყნისთვის ისეთი პრობლემები-შესაძლებლობები, რაიცა საბჭოთა წესწყობილება-სისტემას შეუძლია და შეიძლო კიდევ. მაშ ასე, ჩვენ დღეიდან ვწყვეტთ ყოველგვარ კავშირს ჩვენს ყოფილ პარტიაში დარჩენილ უმნიშვნელო ნაწილთან, ვებებულობთ 25 აგვისტოს ყრილობის დადგენილებებს და ამისთვის ვინ რას გვეწოდებს, ეს ჩვენთვის სრულიად არ არის საინტერესო და არც ფასი და მნიშვნელობა ექნება. ამხ. ფარნიევის მოკლე სიტყვიდან ეს დასკვნა გამოიტანე, ამ აზრისა მეც და ყველა თქვენთაგანიც ვიყავით და თუ ამდენ ხანს ვერ ესთქვით ეს საქვეყნო, სწორედ ეს უნდა ჩაითვალოს ჩვენი გაუმბედლობა-ჯიუტობათ და ამიერიდან თავს ვახვევთ ამას და კვლავ ვბრუნდებით მუშათა კლასის რევოლუციონერ ოჯახში და აღარ ექმნება ადგილი ჩვენს გულში მტრობა-ბუტიაობას მუშათა კლასის წმინდა იდეალებისადმი.

ტრამაიელი.

(დასასრული შემდეგ ნომერში).



გიორგი ქუჩიშვილი.

(მისი მძიმე ავადმყოფობის გამო).

ვახეთების ქრონიკაში მოკლედ, რალაც ორი-ოდე სიტყვით აღნიშნულია პოეტის ავადმყოფობის შესახებ.

ეს ცნობა ისე ბუნდოვანია, რომ მკითხველს ვაკვირების ნიშნის დასმას ვერ ასცდებთ. გიორგი ქუჩიშვილი 18 წლის მუშა-მგოსანია, პროლეტარულ პოეზიის ერთი პიონერთაგანია. მისი ამაყი გამოხატებით არა ერთი და ორი მუშა ჩაება რევოლუციონერ მოძრაობა-

ში, რომლებიც დღეს თავის შინაარსიან მიღწევებით ამშვენებენ ძველ მებრძოლთა კადრს და გედის სიმძლავრით განაგრძობენ წინსვლის ილიკით სიარულს.

ქუჩისწვილის ხმა—ეს ზღვის ახმაურებია. თვით ქუჩისწვილი—ტალღების ბრძანებელი. მისი ლექსის პეკარია—ბრძოლაა. თვითონ კი—ბრძოლის ავანგარდი. ქუჩისწვილის დუმილის დარღვევას ყოველ დღე ველოდით და კიდევ იყო შანსი, რომ მას ვინმეაღვით თავისებურ სამოსში საოცარი აზრდელი დავეიდგა წინ. ჩვენს ლოდინს ფრთა მოტება წყველმა სენმა.

იგი დღეს მიმედ ავად არის. როგორც ყოველთვის—დაღვრემილი შესცქერის თავის მარტოობას, რომელიც უფრო აორბებს მისი სულის წამებას. ქუჩისწვილი უსათუოდ უნდა გამოეტაკოთ სიკვდილს. მას უნდა მიეცეთ სიცოცხლე. ის უნდა დაუბრუნდეს თავის წინანდელ მუშაობას. ის უნდა დარჩეს მუშასთან და გლეხთან.

ამ იმედით შემაქვს ჟურნალ „სიმართლის ხმა“-ს რედაქციაში ერთი ოსმალური ღირა და ვიწვევ ცეკავშირის შემდეგ თანამშრომლებს: 1. ალექსი სვანიძეს, 2. შამში ასათიანი, 3. ელენე გამრეკელს, 4. ძველ მუშას, 5. პავლე ინგოროვს, 6. ნინო წიგნაძე, 7. გიორგი კანდელაკი, 8. ლიდია ცაგარელს, 9. შალვა დღველაძე, 10. მალაქია მიქელიაშვილს, 11. თამარ ცუტიშვილს, 12. პეტრულია ხარებავას, 13. სერგო ლარიაშვილს, 14. ნინო კანდელაკს, 15. ანა ზუღოვას, 16. სიმონ ქართველიშვილს, 17. ნადია გრიგორაშვილს, 18. გრიგორ მდინარაძეს, 19. ნინო მოდებაძეს, 20. ნადეჟდა არუთიანოვს, 21. დავით მირიანიშვილს, 22. ეკატერინა კაკაბაძეს.

აგრეთვე ვიწვევ ს. ლანი-ქაგანის შრომის სკოლების გამგეს—ვარლამ შენგელიას, მასწავლებელთა სრული შემადგენლობით. დახმარება უნდა იქნას სწრაფად შეკრებილი და გამოგზავნილი ჟურნალ „სიმართლის ხმა“-ს რედაქციაში.

ქაგნელი ბზიკი.

მუშათა ფერხობები

ინამ ახალი გზის ძებნა.

4 მარტს საოპერო თეატრის დარბაზში დაიწყო იყო სეთი დევიდარიანის მოხსენება. ნ საათიდან იწყო დენა ხალხმა. ვის არ ნახავდით აქ.

მუშები პარტიული და უპარტიო. ყოფილი მენშევიკები, ნამდვილი მენშევიკები, ინტელიგენცია ხომ იყო და იყო. ყველა ლამობდა შესვლას, კრებაზე ეხებუებოდა უამრავი მოზღვავებული ხალხი.

ყველას სურდა გავგონა ახალი სიტყვა სეთი დევიდარიანისა. მენშევიკური ცეკას გუშინდელ თავმჯდომარის და ხელმძღვანელის.

მაგრამ ჩემში პირადად, უნდა გამოგეტყვოდეთ დევიდარიანის მოხსენებამ ვერ გაამართლა ის იმედები, რომლითაც მე მივედიოდი მის მოსასწენათ.

მან ანალიზი გაუკეთა საზღვარ-გარეთელ ბიუროს მოქმედებას, მის მიმართულებას ქართვული მუშებისა და გლეხებისადმი და სთქვა, რომ მენშევიკში გაკოტრდაო, მაგრამ, როცა მე-2 და მე-3 ინტერნაციონალზე დაიწყო ლაპარაკი, აქ კი აღმოჩნდა, რომ მას საესებით კიდევ არ აქვს გამორკვეული რომელი სჯობია მათ შორის.

უნდებოდა იზადებოდა კითხვა, მაშ ვისთან არის ეს კაცი?

მე-2 ინტერნაციონალს ის მოსცილდა, მე-3 მას არ უნდა.

ახალი ინტერნაციონალის შექმნა ხომ არ განუზრახავს? ან თუ აქვს ასეთი განზრახვა რათ არა სთქვებ აქ.

მან სთქვა, რომ კომუნისტური პარტიაში ყოფილ მენშევიკებს ყველას ვერ მიიღებენ და, ვინც გადარჩება პარტიის გარეთ (ასეთი კი მრავალი იქნებიანო) მათი უკან დაბრუნება

შესაძლებელი და ამიტომ მათში მუშაობის წარმოება არის საჭიროო.

სად უნდა მას წაიყენოს ის „გადარჩენილი“ მასა, რომელიც კომპარტიის რიგებს გარეთ დარჩება.

ყოფილი მენშევიკებში 12.000 მეტია აქტიური მასა.

შეიძლება ზოგიერთ მიზეზების გამო ყველა არ მიიღოს პარტიაში, მაგრამ განა ეს შეუშლის ხელს პარტიის მუშას დარჩეს უპარტიოთ და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის აღმშენებლობაში?

რა თქმა უნდა არა. ის, ვინც დაადგა 25 აგვისტოს პლატფორმაზე, უკვე უკან აღარ დაბრუნდება. კონტრრევოლიუციონური ც. კ. კლანქებში აღარ ჩაუარდება.

მან კარგათ დააფასა თავის წარსული და ვასწყვიტა მასთან კავშირი.

ამიტომ ვფიქრობ მე, დეე ნუ შესწუხდება სეთი დევიდარიანი.

შეგნებული მუშა უკან აღარ დაბრუნდება, რადგან იქ ავანტიურების საბუღაროა. სასიამოვნო ის იქნებოდა, რომ დაბოლოს, ამდენი ძიების შემდეგ მას მიეგნო მუშების მიერ აღმზული გზისათვის და მისულიყო მათთან გადაჭრით, საბოლოოთ.

საშუალო გზის ძებნა, უნაყოფოა, ფუჭი ოცნებაა, ის მუდამ ღუპავდა ხოლმე მუშათა კლასის საქმეს. ნუ ეძებთ მას, სეთი.


ასოთ-ამწყობი მუშა კაიჭაჯიანცი.

პროკოპაციითაც ვერას ხდებია.

მენშევიკების არალეგარული ცეკის აგენტები რომ ვერას გახდნენ და ვერ შეაჩერეს მენშევიკური პარტიის დაშლა, მაშინ მიმართეს შრავდლ

პროკოპაციის გაგრეკლებას. დაძრწიან და არწმუნებენ ზოგიერთს გულუბრყვილო მუშებს და გლეხებს, რომ ინგლისმა იცნო მარტო რუსეთიო, რაც შეეხება საქართველოს, ის დიდი ხანია ცნობილია, რომ ინგლისის მთავრობა მოითხოვს რუსის ჯარის გაყვანას ტ ავრეკლებენ სხვა ბევრ ჭორებს. ამის საპასუხოთ ჩვენ მოვიყვანთ დეპუტის ლონდონიდან. პარლამენტში შეკითხვაზე ვრეკლდება თუ არა ამიერკავკასიის რესპუბლიკებზე ცნობა, მაკლონალმა უპასუხა, რომ საბჭოთა ძალა უფლება ამიერკავკასიაზედაც ვრეკლდებაო, რაც შეეხება ჯარის გაყვანის შესახებ ამაზე გარკვეული პასუხი ინგლისის მთავრობისა იყო: არავითარი უფლება არა გვაქს რუსეთის შინაური საქმეში ჩარევისო. ალბათ შემკითხველიც გატყუებულის აგენტი იქნებოდა, მაგრამ ამაში ვერც რეუდარ იმედი. როგორ გგონიათ, ვაქბატებო, ინგლისის სახელმწიფოთ თავის ინტერესებს დასთმობდა საქართველოზე? რათ არ იციან, რომ ტყუილს მოკლე ფეხი აქვს ესეც კარგად უნდა იცოდნენ, რომ მაგათ გასავალი აღარ აქვთ დიდი ხანია საქართველოს მუშებმა და გლეხებმა გაუგეს მათი კომბინაციები, ვარჩიის თეთრი შავისაგან. თუნდაც რომ არ იცნო საქართველო და მოეთხოვა ჯარის გაყვანა, მაგით რამეს გახდებოდნენ? ჩვენ იმათ ცნობას არც კი ვსაქიროებთ, ძალიან კარგათ ვაშენებთ საბჭოთა საქართველოს, არაფრისაგან ჩვენმა მუშებმა ენერგიამ და კომუნისტური პარტიის ცდამ დანგრეული წარმოებები ფეხზე დააყენა, ბონების ნაცკლათ შექმნა მთავარი ღირებულების ფული ოქრო ვერცხლის და სპილენძის ფული და კიდევ ორი წელიწადი და შემდეგ ნახათ ისეთი პირობები შეიქმნება, რომ მუშებისათვის იმაზე უკეთესი არც კი იქნება საჭირო. უფრო გაშენდება ფაბრიკა ქარხნები, აღორძინდება წარმოება და უმუშევარი არც კი იქნება მთელ საბჭოთა რესპუბლიკაში. არამც თუ საბჭოთა მთავრობა საჭიროებს იმათ ცნობას. არამედ ინგლისი და სხვა ბურჟუაზიული სახელმწიფოები უფრო საჭიროებენ ცნობას იმათ ძალიან უჭირს ნედლი მასალა, რომლის წყალობითაა უმუშევრობა ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. გაფაციცებით ცდილობენ, რომ არა მე ვიციო წინათ, არა მეო, ეხლა რუსეთის საგარეო კომისართან რიგებია უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლების თავანთი ნოტებით. ინგლისის მთავრობა სესხსაც კი გვპირდება მოგვეცეს, მაშინ კი მშენებრათ ავაყვავებთ ჩვენს ქვეყანას. თქვენ კი, ამხანაგებო, მუშებო და გლეხებო, რომლებიც გაბმული ხართ პროკოპაციის მახეში ან და თინიანობის გულისთვის გამდგარხართ განზე და ყოველივე პროკოპაციას კვერს უკოვთ ხოლმე. გონს მოდით, ჩაუკვირდით თქვენს თავს, ვის საქმეს აკეთებთ? როგორ გახარებული არიან ხოლმე ყოველივე ჭორზე და ოცნებობენ მუშების გასრესახზე. დროა კარგად დაკვირვება და თეთრის შვისაგან გარჩევა.

მუშა ნაბია.



პოლიტიკური მიმოხილვა

მაკდონალდის პრემიერით გახდომის შემდეგ მოსალოდნელი იყო ინგლისის საგარეო პოლიტიკაში დიდი ცვლილებები. ეს მოლოდინი ნაწილობრივ უკვე გამართლდა. მაკდონალდის მთავრობამ იურიდიულად იცნო საბჭოთა კავშირი. ხოლო ნაწილობრივ ამ ჟამად მართლდება. დღითი დღე ირკვევა ინგლის-საფრანგეთის ურთიერთ დამოკიდებულება. ჩვენ აქ მოვიყვანთ იმ მიწერ-მოწერას, რომელიც სწავრობებდა უკანასკნელი კვირის განმავლობაში ამ ორ პრემიერს შორის:

გამოქვეყნდა წერილები, რომლებიც ერთმანეთს გაუგზავნეს მაკდონალდმა და პუანკარემ.

მაკდონალდი სწერდა:

„ჩემი მთავარი მიზანია ნათელი გაეხადო თქვენთვის, რომ წარსული გაუგებრობანი და უთანხმოებანი შესაძლებელია გამოსწორებული იქნეს. დავარწმუნებთ, რომ მე მზადა ვარ ხელახლა ვანეხილოთ საკითხი ყოველ მხრივ.

ინგლისში გავრცელებულია აზრი, რომ საფრანგეთი, წინააღმდეგ ვერსალის ხელშეკრულებისა, ცდილობს შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომელიც საშუალებას მისცემს მას მიიღოს ის, რის მიღებაც მან ვერ მოახერხა საზავო მოლაპარაკების დროს. ზოგიერთ ჩემ თანამემამულეთა აზრით, ასეთ პოლიტიკას შეუძლია გაახანგრძლივოს გამოურყვეველი, საშიში, არა მშვიდობიანობის, არამედ იმის მდგომარეობა: ასეთი პოლიტიკა ბოლოს-დაბოლოს ძირს გამოუთხრის იმ დროებით უშიშროებასაც, რომელიც საფრანგეთმა უზრუნველყო თავისთვის“.

ინგლისის მდგომარეობა, — სწერს მაკდონალდი, — სულ სხვანაირია. ჩვენი უშიშროება, როგორც საზღვაო, ისე ხმელეთზე უზრუნველყოფილია, მაგრამ ჩვენი ეკონომიურ მდგომარეობა საგრძნობ საფრთხეს განიცდის“.

პუანკარე თავის პასუხში საცხებით ვთანხმება მაკდონალდის მიდგომას საკითხისადმი. ის მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ინგლისის პრემიერთან ამ საკითხებზე იმავე ლიაოლური კილოთი, რომელიც ასულდგმულებს მაკდონალდს.

პუანკარე არწმუნებს მაკდონალდს, რომ ინგლისის საზოგადოებრივი წრეების შიში უსაფუძვლოა, რომ საფრანგეთს არა აქვს ვანზრახვა წაუყენოს გერმანიას რაიმე მოთხოვნისებები ანექსიის შესახებ ან დაამყაროს ევროპაში თავისი ჰეგემონია.

ამ ამონაწერიდან აშკარაა, რომ ინგლისის დაფრთხობილია საფრანგეთის სურვილით ევროპაში მოიპოვოს გეგემონია თურმე ინგლისის „საზოგადოებრივი აზრი“ დიდ „შიშიში და საგონებელშია“ ჩავარდნილი ამის გამო და ამიტომ სწერს მაკდონალდი პუანკარეს, რომ ასეთი მდგომარეობა შექმნის გაუგებრობას და შეიძლება ომიც მოჰყვესო. პუანკარე კი ამშვიდებს მაკდონალდს და ეუბნება: თქვენი შიში უსაფუძვლოა. ასე ატყუებენ ერთმანეთს ბურჟუაზიული ქვეყნის პოლიტიკოსები. გულში სხვა აქვთ, ისე კი სხვას ლაპარაკობენ.

გერმანიაში მარქსის მთავრობამ თითქმის ყველაფერი „დააწყენარა“. უკვე აღარ ეშინათ რევოლუციის, ამიტომ არის, რომ მოხსნეს საგანგებო წესები.

სამხედრო წესების გაუქმების შემდეგ განახლდა კომპარტიის ცენტრალურ ორგანოს „როტე ფანეს“ გამოცემა. გახვითი აცხადებს, რომ კომპარტია გამოიყენებს დღევანდელ თავის ნახევრად ლეგალურ მდგომარეობას ბრძოლისათვის ბურჟუაზიის დიქტატურის წინააღმდეგ და პროლეტარიატის დიქტატურის სასარგებლოთ. სოციალ-დემოკრატების პროფკავშირთა ბიუროკრატია — არის ბურჟუაზიის უკანასკნელი დასაყრდენი, რომლის წინააღმდეგ კომპარტია აწარმოებს გაბედულ ბრძოლას. კომპარტიას არ შეაშინებს აკრძალვა. ის მტკიცეთ სდგას მუშათა მოძრაობის სთავეში და იბრძობებს, როგორც ფაშისტების დემაგოგის, ისე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.

მიუხედავად კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციისა, რეპრესიები ამა პარტიის წინააღმდეგ მაინც გრძელდება. მაგ. 1 მარტის ცნობით ნეიმიუნსტერში დაპატიმრებულია 22 კომუნისტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კომუნისტური პარტიის საოლქო კონფერენციაზე. დაპატიმრება მოხდა დრეზდენშიც. დაპატიმრებულია შორის არის ლანდტაგის დეპუტატი რონერი.

წარსულ კვირას მოხდა მეტად საინტერესო ამბები ოსმალეთში.

მეჯლისში წარმოთქმულ საპროგრამო სიტყვაში ქემალ-ფაშამ აღნიშნა, რომ მთელი ქვეყანა ენტუზიაზმით შეხვდა რესპუბლიკანურ წესწყობილებას, რადგანაც ხალხმა გაიგო, რომ მხოლოდ რესპუბლიკა უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებას და იცავს ხალხს მონობისაგან. ოსმალეთის რესპუბლიკას გადაწყვეტილი აქვს მტკიცედ დაიცვას თავისი უფლებები ძლევაში ისილი არმიის დახმარებით.

ოსმალეთის მთავრობა განსაკუთრებულ შინაშენილობას აძლევს მიწათ-მოქმედების და სასოფლო-მეურნეობის ვანეთარებას და დიდ ყურადღებას მიაქცევს საზღვაო ტრანსპორტს და რკინის-გზებს.

ახალი ბიუჯეტის მიხედვით კრედიტი განათლებისათვის გადიდებულია 10-ჯერ.

საქირაა სასამართლო ორგანიზაციების გადახალსება ახალ პრინციპებზე (ნაგულისხმევია სარწმუნოებრივ სასამართლოების ლიკვიდაციის აუცილებლობა). ოსმალეთის რესპუბლიკა ყოველმხრივ წინააღმდეგობას გაუწევს რელიგიის პოლიტიკური პროპაგანდის იარაღით გადაქცევის ცდას. რელიგიის და ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ რელიგიის გამოყოფას პოლიტიკისაგან.

ანგორა დარჩება სატახტო ქალაქად. ქემალმა განაცხადა, რომ განახლებულია დიპლომატიური ურთიერთობა და დადებულია ხელშეკრულება მთელ რიგ სახელმწიფოებთან. მან

ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოსმალეთი გულწრფელად მისწრაფვის საბჭოთა კავშირთან შეგობრილი კავშირის დაცვისაკენ. ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა მიმართულია მშვიდობიანობისა და ხელშეკრულებათა დაცვისაკენ.

ოსმალეთის პრესა ფიქრობს, რომ რეფორმები, რომელიც მოსალოდნელია ქემალის დეკლარაციასთან დაკავშირებით, მიღებული იქნება მეჯლისის დიდი უმრავლესობის მიერ.

სახალხო პარტიის ლიდერებმა მეჯლისში მოითხოვეს ოსმალეთთან ხალიფის დინასტიის ყველა წევრების განდევნა, ხალიფის-მეჯიდის გადაყენება და ახალი ხალიფის დანიშვნა არა ოსმანთა დინასტიის წევრებისაგან. კამათის დროს გამოიჩინა, რომ მეჯლისის უმრავლესობა ემხრობა ოსმანთა დინასტიის გაძევებას და ხალიფის გადაყენებას.

დეპუტატები-მოლები აცხადებენ, რომ რელიგიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან და ხალიფატის რეფორმა არ ეწინააღმდეგება რელიგიის კანონებს.

დინასტიის წევრები სსსწრაფოდ ემზადებიან გასამგზავრებად. ხალიფის გადაწყვეტილი აქვს გაგზავნის ანგორაში ცნობა გადადგომის შესახებ და გაემგზავროს უცხოეთში.

სტამბოლში და ანგორაში დიდი ალტაცებაა მეჯლისის შენობა გარშემორტყმულია ხალხით, რომელიც მსჯელობს მომხდარ ამბებზე. საერთო აზრი ისეთია, რომ ოსმალეთმა გადასწყვიტა შევიდეს კულტურულ ხალხთა ოჯახში. კლერკალური ორგანოები სდუმან რელიგიურ რადიკალური ორგანოები რელიგიურ საფუძველს უძებნიან რეფორმებს.

საბჭოთა კავშირში ამ ჟამად სწარმოებს მისი შინაური ცხოვრებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობის ამბავი — ეს არის ფულის რეფორმა. უკვე გამოქვეყნდა ლ. კამენევის და ფორტევის ხელის მოწერით დეკრეტო ფულის რეფორმის შესახებ.

მტკიცე ვალიუტაზე გადასვლის გამო საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭო აღგვინა:

1) აკრძალულ იქნას 1 მარტის შემდეგ ხელშეკრულებების დადება, ვალდებულებათა გაცემა: და აგრეთვე ტარებების და ნიბრების დაწესება საქონლის ფასების საშუალო ინდექსით (საქონლის მანეთებით).

2) ხელშეკრულებებს და ყოველგვარ ვალდებულებებს, რომლებიც დადებული იქნებიან საქონლის მანეთებში, 1924 წ. 1 მარტის შემდეგ ექარგებათ ძალა.

3) ყოველგვარი ხელშეკრულებები და ვალდებულებანი, რომელიც დადებული იყო 1 მარტამდე შრომის ხელფასის საქონლის მანეთად გამონაწერის შემთხვევაში, გადაყვანილი უნდა იქნენ ოქროს ვალიუტაზე, არა უგვიანეს 1924 წ. 15 მარტისა.

შენიშვნა: ოქროს ვალიუტაზე გადაყვანილი იქნება ყველა ხელშეკრულებები, გარდა კოლექტიური ხელშეკრულებებისა, მტკიცე პარიტეტის მიხედვით — საქონლის 1 მანეთი უდრის 1 მან. 30 კაპ. ოქროთი. კოლექტიური ხელშეკრულებების ოქროს ვალიუტაზე გადა-

სვლა დაწესებული იქნება შრომის და თავდაცვის საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

აღნიშნული განკარგულება ძალაში შევიდა რადიოს საშუალებით.

მოსკოვში უკვე ხმარებაშია ახალი ვერცხლის ფული და სახაზინო ბილეთები. აქაც, თფილისშიაც არის 5 მან. სახაზინო ბილეთები.



პ რ თ ნ ი კ ა

საშაბათს, ოთხ მარტს საოპერო თეატრში სეით დედარაიანმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „საბჭოთა სისტემა და საქართველოს დემოკრატიზაცია“. მოხსენებას აუარებელი საზოგადოება დაესწრო. დაწერილებით იხილეთ ანგარიში.

დღეს 9 მარტს რუსთაველის თეატრში გაიმართება მწერალი ქალის ანასტასია ხოშტარია-ერისთავის ოუბილე.

ციხიდან გაათავისუფლეს კიდევ ერთი ჯგუფი პოლიტიკურებისა, რომლებმაც ვაიზიარეს საბჭოთა პლატფორმა.

გუშინ, 8 მარტს, მიუღო საქართველოში შინაარსიანად ჩატარებულ იქნა საერთაშორისო ქალთა დღე—8 მარტი.

ს ხ მ ა დ ს ხ მ ა ა მ ბ ე ბ ი :

გერმანიაში მოხსნეს საგანგებო წესები და იწყო გამოსვლა „როტე ფანემ“, კომუნისტური პარტიის გაზეთმა. მოხდა ამ პარტიის ლეგალიზაცია.

8 მარტს ლენინგრადში გაიმართა კომინტერნის არსებობის 5 წლის თავზე საზეიმო სხდომა. სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ზინოვიევი, კლარა ცეტკინა, კოლარაგი, ტერრაჩინი და სხვები.

ლტოლვა კომუნისტური პარტიისაკენ გრძელდება. ერთი კვირის წინ მოსკოვში 23 ათას მუშას ჰქონდა შეტანილი განცხადება პარტიაში მიღების გამო.

სპარსეთი საბჭოთა კავშირს სთვლის აღმოსავლეთ ხალხთა ერთადერთ ნუგეშად.

ხაფრანგეთის მთავრობა ითხოვს სამხრეთ სლავებისაგან საბჭოთა კავშირის ცნობას. ის ესაჭიროება შუამავლად საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დროს.

ესტონეთის მთავრობამ ბოდიში მოიხადა საბჭოთა კავშირის მთავრობის წინაშე საბჭოთა კავშირის შესახებ გაზეთებში ყალბი ცნობების მოთავსების შესახებ.

საბერძნეთის პრესა დაიწინებთ მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას მასთან საავტორო და დიპლომატიურ ურთიერთობის განახლების მიზნით.

იაპონია და საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკების დაწყებას მოვლიან მარტის დამთავრებას.

ჩეხოსლოვაკიის პრესა მოითხოვს რუს მონარქისტების განდევნას ჩეხოსლოვაკიის საზღვრებიდან.

უნგრეთი ემზადება საბჭოთა კავშირის ცნობისათვის.

მაკდონალდს აუარებელი შეკითხვა მისცეს ვერსალის ხელშეკრულების გადაწინაგვის შესახებ. მაკდონალდმა მათ არ გასცა გადაჭრილი პასუხი.

რუსეთის კომპარტიის მორიგი ყრილობა ცეკას პლენუმის დადგენილებით მოხდება მაისის შუა რიცხვებში. დღე და წარმომადგენლობის ნორმა დამატებით იქნება გამოცხადებული.

შეჯლისში ქემალ—ფაშამ წარმოსთქვა საბროგრაზო სიტყვა. ახალი ბიუჯეტით ხარჯები სახალხო განათლებაზე ათი მილიონი ლირითაა გადიდებული. ანგორა რჩება სატახტო ქალაქად, ხალიფი განდევნილ უნდა იქნას ოსმალეთიდან და სხვა.



წერილები პროვინციიდან

სოფელ ქარაღვი.

ხ ა უ შ რ ი.

25 თებ. 2 ს. კრებას ხსნის ქარელის თემის აღმასკომის თავმჯდომარე კიკნაძე. გორის აღმასკომიდან დაესწრო ამხ. გასიევი და საშეფო კომისიის წევრი ამხ. მირიანოვი და ლუკაშვილი. პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გასიევაძემ, სადაც დაუსურათა გლეხებს რა იყო მენშევიკური ბატონობის დროს და რა მდგომარეობაში იმყოფებიან საბჭოთა მთავრობის დროს და მოუწოდა აღმასკომთან ერთად გამაგრება მუშათა და გლეხთა უფლებისა.

მოხსენება წითელი ლაშქრის ექვსი წლის თავის შესახებ გააკეთა ამხ. ლუკაშვილმა. საგნებით გააცნო მთელი ცხოვრება წითელი ლაშქრისა მიუღო მისი ნაიმოქმედართი და გამარჯვებებით. აღნიშნა აგრეთვე ამხ. ლენინის გარდაცვალებით მოყენებული დანაკლისი. კრებამ ფეხზე აღდგომით პატივი სცა ბელადის ხსოვნას. ბოლოს მოუწოდა გლეხობას მკიდროთ დაუკავშირდნენ ქალაქის მუშებს რევოლუციის მონაბოვართა დასაცავად.

ახალგაზრდა თაობის სახელით კრებას მიესალმა ამხ. სტეპანოვი, რის შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია.

მოვიმინებთ რა მოხსენება ამხ. გასიევისა და ლუკაშვილისა, საზოგადო კრება ქარელის თემისა აღდგეს: საესეხუთ დარწმუნებული იმაში, რომ სამი წლის არსებობით საბჭოთა მთავრობამ შესძლო გაუმჯობესებია მუშათა და გლეხთა ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა, მიუხედავად დანგრეული სახელმწიფოს შიღვისა მენშევიკური მთავრობის შემდეგ. საესეხუთ დარწმუნებული იმაში, რომ საბჭოთა მთავრობა კიდევ უკეთესად მოაწყობს ეკონომიურის მხრით გლეხკაცობის მდგომარეობას, მიუხედავად დიდი დანაკლისისა დიდებული მასწავლებელ გენიოს ლენინისა, რომლის ცხედრის წინაშე ფიცსა ვსდებთ ყოველ დროს ვიქნებით მზათ დიდებულ და უძლიერელ წითელ ლაშქარში შესასვლელათ, რომ ვიზრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მუშათა კლასის მკერების წინააღმდეგ.

დევოს მუშა ხაშა.

ამხ. ქაღლებს! ოქტომბრის რევოლუციამდის მშრომელ დედაკაცს არაფერი მოეთხოვებოდა, რევოლუციამ კი ფართო სარბიელი მისცა მუშაობისათვის, ოქტომბრის რევოლუციამ კარჩაკეტილობიდან და მონურ მდგომარეობიდან გაათავისუფლა დედაკაცები და აჩუქა მათ უფლებები, რომელიც მათ უნდა მოიხმარონ იკოდეთ, ამბანავებო, უფლება უნაყოფო იქნება თუ მის მოხმარას ვერ შეესძლებთ ჩვენ. ქალებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ რევოლუციონურ პათოზით და მამაკაცებზე ნაკლები არ ყოფილან თუ კი გავიხსენებთ დიდი რევოლუციიდან, პარიზის კომუნიდან 1848 წ. გერმანიის რევოლუციის ისტორიიდან, სადაც ქალები გვევლინება ჩვენ ისეთ ფენომენებათ, რომ მათი გამიჯრული მოქმედება დღესაც ბევრს მიუთითებს თუ რის შემდეგ არიან დედაკაცები და აი სწორე ზოგიერთ მოწინავე ამხ. კაცებს ხაშურისას უძღვნი დიდ მადლობას, ვინაიდან ისინი დიდ დახმარებას აძლევენ ქალთა წრეს და ცდილობენ ყველგან ჩაბან ისინი სამუშაოთ, რათა ისინი დაინტერესდნ საზოგადოებრივი საქმის მუშაობაში მადლობა იმ პირთ, რომლებიც ჩვენ მომუშავე ქალებს ანგარიშს გვიწვევენ.

ჩვენთან მუშაობს ინსტრუქტორი ქალიც, უნდა ითქვას სიმართლე, რომ იგი არის ენერგიული მუშა.

მოუწოდებთ ინსტრუქტორს, რომ დადგენილება ქალაქზე ნუ დარჩება. არიან ოთხი ქალი საკმაოთ მომზადებულები პოლიტიკურათ, ისინი უნდა იქნან გაგზავნილი სოფლათ სამუშაოთ

ნიცა.

სარედაქციო კოლეგია:

- ა. ფარნიევი.
- ა. რუხაძე.
- კ. თოფაძე.
- კ. შენგელია.
- გ. ვარდოიანი.